პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 119 (11425) | სამშაბათი, 26 მაისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

## სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტისა და ვლადიმირის სახალხო მეურნეობის საბჭოს ინიციატივის შესახებ

### მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით პროდუქციის გამოშვების გადიდების საქმეში

*სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის 21 მაისის დადგენილება*

ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებით იმის შესახებ, რომ საჭიროა რაც შეიძლება ეფექტიანად წარიმართოს კაპიტალური დაბანდებანი, სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტმა და ვლადიმირის სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშავეს ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან ნაკლები დანახარჯით და უფრო სწრაფად, ვიდრე ახალი მშენებლობის დროს, გადიდდეს პროდუქციის გამოშვება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ნაწილობრივი გაფართოების გზით.

ვლადიმირის სატრაქტორო ქარხანაში გამონახულია იმის შესაძლებლობა, რომ პროდუქციის გამოშვება 1965 წელს გადიდდეს 1,5-ჯერ გეგმის პირვანდელ პროექტში გათვალისწინებულ მოცულობასთან შედარებით მისი რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა უფრო რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების გზით. ამ გზით ქარხანა სახალხო მეურნეობას დამატებით მისცემს 25 ათას თვლიან სათხონ ტრაქტორს წელიწადში.

ბამბეულის მრეწველობის საწარმოებში გათვალისწინებულია განხორციელდეს საწარმოო ფართობების რეკონსტრუქცია და გადიდება, რაც საშუალებას იძლევა ახალ მშენებლობასთან შედარებით უფრო მოკლე ვადებში და ნაკლები დანახარჯით გადიდდეს მათი საწარმოო სიმძლავრე 130 ათასი სართავი თითისტრით და 1.759 საქსოვი დაზგით, ნართის ყოველწლიური გამოშვება — 12 ათასი ტონით და ბამბის მზა ქსოვილებისა —50 მილიონი მეტრით.

ანალოგიური ღონისძიებანი შემუშავებულია კოვროვის საექსკავატორო ქარხანაში. ალექსანდროვის ფაბრიკა „ისკოჟდეტალში“, მინის ქარხნებსა და სხვა საწარმოებში.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა აღნიშნული ღონისძიებანი და მიიღო გადაწყვეტილება უზრუნველყოს მათი შესრულება, განაზორციელოს ამისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებათა ხელახალი განაწილება შესაბამისი დარგების ობიექტებს შორის.

პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს რა პროდუქციის გამოშვების გადიდებას მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების განხორციელების გზით, რაც შეიძლება ნაკლები კაპიტალური დაბანდებებით და უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ახალი მშენებლობის დროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტისა და ვლადიმირის სახალხო მეურნეობის საბჭოს ინიციატივა, რომლის მიზანია პროდუქციის გამოშვების გადიდება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით, ნაკლები დანახარჯით და უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ახალი მშენებლობის დროს, აგრეთვე რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ ღონისძიებათა შესრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომლებსაც სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტი და ვლადიმირის სახალხო მეურნეობის საბჭო ახორციელებენ.

2. რჩევა მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტისა და ვლადიმირის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოცდილების საფუძველზე განაზორციელონ მუშაობა მოქმედ საწარმოებში პროდუქციის გამოშვების გაზადიდებლად მოწყობილობის შეცვლისა და მოდერნიზაციის, საწარმოო ფართობების რეკონსტრუქციისა და გადიდების და არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების გზით, ამასთან რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ გამოყოფილი სახსრები.

3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს:

მოაწყონ საწარმოებში, მშენებლობებზე და საპროექტო ორგანიზაციებში პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა შემდგომი ზრდის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება საწარმოო ფართობების რეკონსტრუქციისა და გადიდების ბაზით, ამასთან მხედველობაში იქონიონ ამ სამუშაოთა შესრულების ვადების, აგრეთვე მატერიალური საშუალებებისა და ფულადი სახსრების ხარჯვის მნიშვნელოვნად შემცირება ახალ მშენებლობასთან შედარებით;

აამაღლონ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის დონე კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანად წარმართვის, სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდების რეზერვების შემდგომი გამონახვისა და შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა 2 თვის ვადაში მოახსენონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გაწეული მუშაობის შესახებ.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი.**

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ჩვენ, მწერლები, ამ დარბაზში შევიკრიბეთ პარტიის ისტორიული XXI ყრილობის დამთავრების ცოტა ხნის შემდეგ, დიადი შვიდწლედის პირველ წელს, როცა ცხადად ისხამს ხორცს ის, რაც შთაგონებით განჭვრიტა ჩვენი პარტიის მამამ — ლენინმა.

დიდი საქმენი დიდ ღონისძიებებს მოითხოვენ. ჩვენ ვიცით, თუ როგორ ძლევენ ყველა სიძნელეს, რა დაუცხრომლად მუშაობენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი. და ჩვენ, მწერლებს, მოგვეთხოვება მხოლოდ ერთი რამ — ვიყოთ პარტიისა და ხალხის ღირსეული თანაშემწენი. მაგრამ ეს ერთადერთი მოთხოვნა ყველაზე მკაცრი მოთხოვნაა, რადგან ამ მოთხოვნას ვუყენებთ ჩვენს თავს: ეს არის ჩვენი გონების, ჩვენი გულის, ჩვენი კომუნისტური სინდისის მოთხოვნა.

პარტიის ყურადღება ჩვენი ყრილობისადმი, ჩვენი ლიტერატურისადმი, სამოცდასამ ენაზე რომ იქმნება, ეს მარტო იმის შეფასება როდია, რაც გაკეთდა, ეს არის მოწოდება გავაკეთოთ კიდევ ბევრად მეტი, ვიდრე გაკეთებულია. ეს არის რწმენა ჩვენი ძალებისა და უნარისადმი, რომლებიც კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში აგრეთვე უნდა გაიაშლოს უადრესად ფართო ფრონტით, რათა დავიცვათ და დავამკვიდროთ ყოველივე ის ახალი და მშვენიერი, რაც ძველისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ ბრძოლაში იბადებოდა და კვლავ იბადება, იმარჯვებდა და კვლავ უფრო მტკიცედ იმარჯვებს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში და ადამიანის სულიერ სამყაროში.

და თუ ახალი ყოველთვის როდი იმარჯვებს ადვილად, სწორედ ამით არის საინტერესო ჩვენი ცხოვრება, რომელიც აღსავსეა ბრძოლითა და ძნელი გამარჯვებებით, სწორედ ამით არის ლამაზი საბჭოთა ადამიანი — მებრძოლი და შემოქმედი, ადამიანი ბოლშევიკური ხასიათით, ნამდვილი დედებით გმირი არა მარტო ჩვენი ლიტერატურისა, არამედ ჩვენი დროისაც, ადამიანი, რომლის მადლიერი მისი ბრძოლისა და შრომისათვის იქნება უკლებლივ მთელი კაცობრიობა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ პარტიამ თავის მისალმებაში ჩვენი ყრილობისადმი გვიწოდა თავისი საიმედო თანაშემწენი. და აღვუთქვამთ მას კვლავაც ვიყოთ პარტიის საიმედო თანაშემწენი ყველა: დიდ და კეთილშობილურ საქმეში, რომლებსაც იგი ახორციელებს ხალხის ბედნიერებისათვის ჩვენს შშობლიურ ქვეყანაში და მთელ პლანეტაზე.

მაგრამ, ვამაყობთ რა მწერლის ესოდენ უმაგალითო მაღალი წოდებით, პირობას ვაძლევთ პარტიას ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ეს წოდება სპატიო კი არ არის, არამედ საშუშო წოდებაა, რომ საიმედო თანაშემწე შეიძლება იყოს მხოლოდ თავისი საქმის ოსტატი, რომ საიმედო თანაშემწე — ეს არის ადამიანი მომუშავე და თავდადებული, ადამიანი, რომელიც ყოველთვის მზად არის დამკვიდებული ეხმარებოდეს პარტიას იქ, სადაც ეს მას ესაჭიროება, კომუნიზმის თვალუწვდენი მშენებლობის ყოველ სამშენებლო ხარაჩოზე, ყოველ სამუშაო უბანზე.

და როცა პარტია მამობრივად, პირდაპირ და სამართლიანად აკრიტიკებდა და უსწორებდა ზოგიერთ ჩვენგანს ჩვენს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, ჩვენ, მწერლები, ამაში ყოველთვის ვგრძნობდით ზრუნვას ჩვენი ლიტერატურისათვის და რწმენას ჩვენი ძალებისადმი. ჩვენი მხურვალე სურვილისადმი ვიაროთ პარტიის მიერ ნაჩვენები გზით, ვიყოთ მისი ნამდვილი თანაშემწენი.

პარტიის საიმედო თანაშემწე თავის საქმეს გააკეთებს იქაც, სადაც სიძნელეა, იქაც, სადაც სირთულეა, იქაც, სადაც საშიშია, სადაც, ვაშენებთ რა კომუნიზმს, ჯერ კიდევ პირისპირ ვხვდებით მის ბტრებს.

სწორედ ახლ, მიაჩნდათ რა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისათვის ბრძოლა თავიანთი ცხოვრების საქმედ, ჩვენი ლიტერატურის ყველა უაღრესად ნიჭიერი და კეთილშობილი ადამიანი ეხმარებოდა პარტიას ომის ცეცხლში და მშენებლობათა ხარაჩოებზე. სწორედ ასე გვესმის ჩვენი მოვალეობა და ჩვენი პასუხისმგებლობა პარტიის და ხალხის წინაშე.

ჩვენს მუშაობაში კი შეგვიძლია ბევრი ვინმესაგან ავიღოთ მაგალითი, ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული და უნარიანი შრომის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის პრინციპული და გაბედული ბრძოლის ამ მაგალითს ყოველდღე გვიჩვენებს პარტიის ათასობით მუშაკი, დაწყებული მისი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნით ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვით, ჭეშმარიტად დაუცხრომელი მშრომელით, რომელმაც ამ წლების განმავლობაში ჩვენს თვალწინ გააკეთა იმდენი, რამდენსაც სხვა ვერ გააკეთებდა მთელი თაობის სიცოცხლის მანძილზე.

ჩვენ გულითადად ვართ ნასიამოვნები იმით, თუ როგორ გველაპარაკა აქ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, რა ღრმად, მეგობრულად ჩასწვდა ჩვენს საქმეებს; გველაპარაკა ისე გულახდილად, პირდაპირ და უბრალოდ, როგორც ელაპარაკებიან მუშაობაში ამხანაგებს.

ჩვენ პირობას ვაძლევთ პარტიას მისი მაგალითისამებრ მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ ახალი საზოგადოების შექმნას, ახალი ადამიანის აღზრდას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის ყველაზე მთავარი და ყველაზე მშვენიერი ჩვენს მუშაობაში.

ჩვენ პირობას ვაძლევთ პარტიას მისი მაგალითისამებრ, ჩვენი კომუნისტური საქმის გამარჯვებისათვის, ყველგან, სადაც კი ეს საჭირო იქნება, აშკარად და უშიშრად გავაკრიტიკოთ ხელოვნების საშუალებებით ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლას კომუნიზმისაკენ — მოძველებული ფორმები, კაპიტალიზმის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში.

ჩვენ პირობას ვაძლევთ პარტიას მისი დიდი მაგალითისამებრ მხატვრის, პუბლიცისტის, კრიტიკოსის სიტყვით ულმობელი წინააღმდეგობა გავუწიოთ რევიზიონისტთა და სოციალიზმის აშკარა მოწინააღმდეგეთა ყველა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცდას შეურაცხყონ წარსული, დაამცირონ აწმყო და დათესონ უნდობლობა ჩვენი სოციალისტური კულტურის მომავლისადმი.

შეგნებული გვაქვს რა ხელოვნების ზემოქმედების სულ უფრო მზარდი ძალა ჩვენი საზოგადოების სწრაფი მატერიალური და სულიერი განვითარების პირობებში, პირობას ვაძლევთ პარტიას, რომ ყველა ერთად და თვითეული ცალცალკე ბეჯითად ვიმუშავებთ კომუნიზმის საქმის ერთგული ლიტერატურული ცვლის აღზრდისათვის, რომელიც მტკიცედ იქნება დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მზად იქნება თვითონ აკისროს ჩვენი ლიტერატურის დიადი მომავალი.

ჩვენ, საბჭოთა ლიტერატორები, ხალხის სამსახურის ჩვენი პრინციპებით, რომლებიც პარტიამ ჩაგვინერგა, მარტონი როდი ვართ მსოფლიოში — ჩვენს გვერდით ჩვენსავით, ამავე იდეალებისათვის იბრძვიან მოძმე სოციალისტური ქვეყნების მწერლები, და ეს დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის — ასეთი ძმები რომ გვყავს საერთო საქმეში.

ჩვენთან ერთად იბრძვის მშვიდობისათვის მსოფლიოს ყველა პროგრესული მწერალი, და ჩვენ დიდად ვფასებთ მათს ღონისძიებებს, რომლებიც ხშირად მოითხოვენ დიდ მსხვერპლსა და დიდ მამაცობას.

ჯეროვნად ვაფასებთ რა ყველა მწერლის კეთილშობილურ მისწრაფებებს, რომლებიც ეძებენ კაცობრიობის უკეთესი მომავლის გზებს, ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თავისი პარტიულობით, ხალხთან თავისი მჭიდრო კავშირით ძლიერი, მზარდი მრავალეროვნული სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა არის სავსებით ახალი ლიტერატურა თავისი სულისკვეთებით, რომლის განვითარების საფუძველია საფუძველი უკვე დიდი ხანია გახდა ურთიერთ ძმური დახმარება, ნამდვილი და ქმედითი ინტერნაციონალიზმი.

ჩვენ გვინდა დღეს აქ ვუთხრათ მთელ ჩვენს პარტიას მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის სახით ჩვენი სიყვარულისა და მადლობის სიტყვები, ვუთხრათ მას, რომ მის მაღალ ნდობას გავამართლებთ შრომით, შთაგონებით, ოსტატობით, საქმით!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ ჩვენს დიდ ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელსაც ხალხებისათვის მოაქვს ბედნიერება და მშვიდობა!

**სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა**

## საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გაემგზავრა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით „ტუ-104“ თვითმფრინავით ა. წ. 25 მაისს ტირანაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: ამხ. ნ. ა. მუხიტდინოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამხ. რ. ი. მალინოვსკი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, ამხ. ნ. პ. ფირიუბინი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ამხ. ა. ა. ბულგანოვი —საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი, ამხ. ფ. დ. დუმბაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამხ. დ. რასულოვი — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამხ. ხ. ა. ვეზიროვი, — აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამხ. ვ. ი. ივანოვი, — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ალბანეთში და ამხ. ი. ტ. ვინოგრადოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.

იმავე თვითმფრინავით ტირანაში გაემგზავრა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ამხ. ნესტე ნასე.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გაიცილეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. გ. იგნატოვმა, ა. ი. კირიჩენკომ, ფ. რ. კოზლოვმა, ო. ვ. კუუსინენმა, ა. ი. მიკოიანმა, მ. ა. სუსლოვმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, დ. ს. პოლიანსკიმ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ი. კოზლოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ამხ. ა. თ. ზასიადკო, ფ. ტ. ალექსანდროვმა, ნ. ვ. ბელოუსოვმა, დ. თ. უსტინოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. მ. პ. გიორგაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

შეკრებილებმა გულთბილად გააცილეს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები.

• • •

ტირანა, 25 მაისი. (საკდესი). ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით დღეს ტირანაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საბჭოთა დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ენვერ ხოჯა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეჰმეთ შეჰუ, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჰაჯი ლეში, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობისა და სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრები, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი პირები და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

აეროდრომზე იყო აგრეთვე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, რომელიც შეებულებას ალბანეთში ატარებს.

ენვერ ხოჯამ და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ბიბლიოთეკა

# ხალხის სამსახური საბჭოთა მწერლების მაღალი მოწოდებაა

### ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მწერალთა III ყრილოგაზე 1959 წლის 22 მაისს

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის მწერალთა მესამე ყრილობა შეიკრიბა იმ დიდი საყოველთაო-სახალხო აღმავლობის არაჩვეულებრივად სასიხარულო დროს, რომელსაც განიცდის საბჭოთა სამშობლო, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში რომ შევიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ნათქვამია, რომ ეს ეპოქა ეს არის ეპოქა, რომელიც ადამიანებს, ხალხებს, ერებს, ეროვნებებს, ენებს, ტომებს, ეროვნულ სახელმწიფოებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულებს, ეროვნულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს, ეროვნულ-ეკონომიურ ერთეულებს, ეროვნულ-კულტურულ ერთეულებს, ეროვნულ-ენობრივ ერთეულებს, ეროვნულ-ეთნიკურ ერთეულებს, ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულებს, ეროვნულ-ეკლესიურ ერთეულებს, ეროვნულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებს, ეროვნულ-ფსიქოლოგიურ ერთეულებს, ეროვნულ-ეროვნულ ერთეულებს, ეროვნულ-ეროვნულ ერთეულებს, ეროვნულ-ეროვნულ

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გაგრძელება

იმისა, რაც დაკავშირებული იყო პიროვნების კულტთან. პარტიამ, ხალხმა გადაჭრით დაგმეს წარსულის შეუწყნარებელი მოვლენები და ნაკლოვანებები, რათა, როგორც იტყვიან, ლოდქვეშ დაემარხათ გუშინდელი არასწორი მოქმედება, და ეთქვათ, რომ ასეთი მოვლენები და საქმეები აღარ დაბრუნდება არც პარტიაში, არც ჩვენს ქვეყანაში. **(მქუხარე ტაში).**

მაგრამ, როცა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყეს მუშაობა ლენინური პრინციპების, ლენინური ნორმების აღსადგენად პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ყველამ როდი გაიგო სწორად პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი. იყვნენ ისეთი ადამიანები პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც კი, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ჩვენი პარტიის ხაზს. თქვენ იცით ეს. უფრო გვიან ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრების უთანხმოება პარტიის გენერალურ ხაზთან დამთავრდა ანტიპარტიული ჯგუფის შექმნით, რომელზეც არ ვილაპარაკებ. ყველა თქვენგანმა იცის, თუ რა ბრძოლა გადაიხადა კომუნისტურმა პარტიამ ლენინური პრინციპების აღდგენისათვის პარტიისა და ქვეყნის მთელ ცხოვრებაში. საწყისი ფესვები, საწყისთა საწყისი იყო ბრძოლა ახლისა ძველთან, ბრძოლა ძალებისა, რომლებიც მოქმედებენ კომუნისტური პრინციპების გამარჯვებისათვის, ამ პრინციპების დამახინჯების წინააღმდეგ.

და აი ლიტერატურულ წრეში გაჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც სურთ როგორღაც საზეო გაუტეხონ მწერლებს, რომელნიც ჩვენს ცხოვრებას გვიჩვენებენ კომუნისტური პოზიციებიდან, ესე იგი ახლის, კომუნისტურის გამარჯვებას. არ დავასახელებ აქ ეგრეთწოდებულ „შემლამაზებელთა“ გვარებს, ეს გავარჩევ მათს შემოქმედებას. ეს არც არის საჭირო, მით უმეტეს მე არ უნდა ვქნა ეს, — მე ხომ ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ.

კარგ ლიტერატურულ კრიტიკოსს ყველაზე თვალსაჩინო მწერლისთვისაც კი შეუძლია ძალიან ბევრი რამ გააკეთოს — ჭკვიანი კრიტიკული სტატია—ეს თითქოს თავისებური არყის ცოცხია იმ ადამიანისათვის, რომელსაც უყვარს აბანოში სიარული და ორთქლში გატარება. იგი ორთქლში ტარდება და ცოცხს იტყაპუნებს, ხოლო თვითონ თუ არ უნდა ეს გაიკეთოს, სხვა გუჟკეთებს. ორთქლში გატარება და ცოცხის ტყაპუნი კი ცუდი საქმე როდია, იმიტომ რომ იხსნება ფორები და სხეული უკეთ სუნთქავს, სიცოცხლე უფრო აღვილი ხდება. **(სიცილი დარბაზში. ერთსულოვანი ტაში).**

გთხოვთ, ამხანაგებო, სწორად გამიგოთ. სულაც არ მინდა დავიცვა ადამიანები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ისე გვიხატავენ მოვლენებს, რომ სწყდებიან ცოცხალ ცხოვრებას. აიღეთ, მაგალითად, ზოგიერთი წიგნი, რომლებშიც ცხოვრება დახატულია ისე შელამაზებულად, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს. საეჭვოა, რომ ასეთმა ნაწარმოებებმა სარგებლობა მოგვიტანოს. მაგრამ მე მინდა ისეთ მწერლებს დავუჭირო მხარი, რომლებსაც რატომღაც „შემლამაზენ ლ ე ბ ს“ უწოდებენ იმის გამო, რომ თავიანთ ნაწარმოებებს საფუძვლად უდებენ დადებითი გმირების ჩვენებას. განა კარგი და საჭირო არ არის ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი სიმართლით გვიჩვენებს დადებით გმირებს? ასეთ ავტორებს ყველაფერი როდი მოსწონთ თავიანთ დადებით გმირებში. ისინი ადამიანებს ხედავენ ისეთებს, როგორიც ეს ადამიანები არიან ცხოვრებაში — ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლასა და შრომაში. და ეს კანონზომიერი და სწორია. ადამიანები უნდა აღვზარდოთ კარგი მაგალითებით, ცხოვრებაში დადებითის ჩვენებით გავკაფოთ მომავლის გზა.

მაგალითის ძალა დიადი ძალაა, ამხანაგებო!

რასაკვირველია, შეი ძ ლ ე ბ ა გვკითხონ, სატირას რაღა ვუყოთო. ჩვენში არც სატირა ყოფილა როდისმე აპოლიტიკური; იგი ერთ-ერთი ყველაზე ბასრი იარაღია. სატირა დასცინის ამა თუ იმ მანკიერებას, გადმონაშთებსა და ნაკლოვანებებს და თავიდან აცილებს ადამიანებს სენს. ეხმარება ადამიანებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი. ამრიგად, სატირა კვლავაც უნდა იყოს ჩვენი პარტიისა და ხალხის იარაღი, სატირამ უნდა ანადგუროს ყველაფერი, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ამიტომ მთლიანად იმ მწერალთა მხარეზე ვარ, რომლებიც გვიჩვენებენ ახლის ცხოველმყოფელ ძალას, ახლის გამარჯვებას ძველზე. მწერლებს, რომელნიც მტკიცედ ეყრდნობიან ცხოვრების რეალურ კონკრეტულ მოვლენებსა და პროცესებს, სურთ ემსახურონ თავიანთ ხალხს, ისწრაფვიან შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც იარაღად გამოადგება ჩვენს პარტიას. **(ხანგრძლივი ტაში).** განა ეს „შემლამაზებლები“ არიან? არა. ესენი არიან ახლის გამარჯვებისათვის, ჩვენი პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის აკენმტკიცედ მიმავალი ჩვენი ხალხის საქმისათვის მებრძოლები.

მაგრამ თუ არიან „შემლამაზებლები“, ცხადია, არაშემლამაზებლებიც ყოფილან. ვინღა არიან ეს არაშემლამაზებლები? ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ლიტერატურის მთავარი ამოცანა თითქოს ის იყოს, რომ ეძებოს ყოველგვარი მანკიერება და ნაკლოვანებანი. ამასთან უგულებელყოს საბჭოთა საზოგადოების დიადი მონაპოვარნი. მაშ ყური მიგდეთ, ძვირფასო მეგობრებო, თუ ვინმე ააშკარავებს და ამჟღავნებს ნაკლოვანებებსა და მანკიერებას, ვისაც ამ დროს ხელი არ აუკანკალდება, ამას აკეთებს პარტია, ამას აკეთებს მისი ცენტრალური კომიტეტი. **(მქუხარე ტაში).**

მივმართოთ თვით ცხოვრებას. განა ვინმე გვაძალებდა გაგვეკეთებინა მოხსენება პარტიის XX ყრილობაზე პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ, გამოგვაშკარავებინა დაშვებული ნაკლოვანებანი, რომელნიც დაკავშირებულია ამ მოვლენასთან? განა ვინმემ ძალით მოგვაწყობინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი პლენუმები, სადაც ულმობლად ვაშკარავებდით ნაკლოვანებებს, მთელი ძალით ვგმობდით მათ, ესახავდით და ვამტკიცებდით ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს, ვკვალავდით ახლის გზებს? სულაც არავინ. ჩვენ რომ ლენინელები, ბოლშევიკები არ ვყოფილიყავით, შეგვეძლო ყველაფერი შეგველამაზებინა, ყოველივე ძველი დაგვიხატა როგორც ახალი და მშვენიერი, არ დაგვესახელებინა ძველის შეცდომები, არ გვეჩვენებინა ამ შეცდომებით გამოწვეული ზიანი. მაგრამ არა. ჩვენ ვლაპარაკობდით ძველის ნაკლოვანებებზე. ვაშკარავებდით წარსულის შეცდომებს იმისათვის, რომ ახლისადმი მიგვეპყრო ადამიანთა ყურადღება. წარსულის მძიმე შეცდომების გამეორება რომ არ დაგვეშვა. საჭირო იყო ბოლომდე გამოგვეაშკარავებინა არსებული ნაკლოვანებანი, რათა დამყაყებულობის გრძნობას ზიზღი გამოეწვია იმისადმი, რამაც დრო მოჭამა. პარტია ყოველივე ამას აკეთებდა იმისათვის, რომ განვითარებინა ხალხის შემოქმედებითი ძალები. გზა გაეხსნა ახლისათვის, განეზრიელებინა ის, რაც დიდმა ლენინმა გვიანდერძა, და წაეყვანა ჩვენი ქვეყანა ლენინურად წინ, კომუნიზმისაკენ. **(ხანგრძლივი ტაში).**

მე უკვე ვთქვი, რომ არ დავასახელებ არც შემლამაზებლების გვარებს, არც არაშემლამაზებლების, ესე იგი იმ ადამიანების გვარებს, რომლებსაც სურთ დაგვანახონ მხოლოდ უარყოფითი. მაგრამ უარყოფითის ჯაგლაგით არა მარტო ჭაობიდან ვერ ამოვა ადამიანი, არამედ კარგ გზაზეც შორს ვერ წავა. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

მაპატიეთ, შეიძლება მე დავუშვა ზოგიერთი არც თუ მთლად ჩვეულებრივი შედარება. მაგრამ თქვენც, მწერლები, ზოგჯერ არ ერიდებით მაგარ გამოთქმებს, როცა საჭიროა. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** და სწორადაც იქცევით.

ჰოდა აი, როცა მწერალი შეუდგება ადამიანის გამოსახვას, მთელი საქმე ის არის, თუ როგორ შეხედავს ადამიანს. თუ ავიღებთ ადამიანს ან საზოგადოებას, ძლიერ მნიშვნელოვანია, რა მხრივ განვიხილავთ მას. შეიძლება ავიღოთ ყველაზე უკეთესი ადამიანი, მაგრამ გამოვსახოთ იგი სხვადასხვანაირად, იმის მიხედვით, თუ მის რომელ მხარეებსა და თვისებებს წამოვწევთ წინ. მაგალითისათვის, მწერალი იწყებს ადამიანის გამოსახვას, რომელსაც აქვს ყველა ღირსება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ მასთან შედის არა საპარაღო შესასვლელით, არამედ უკან ეზოდან, უკანა კარით, და იქიდან იწყებს მისი ცხოვრების დახატვას, მაშინ აქედან, რა თქმა უნდა, კარგი არაფერი გამოვა. განა შეიძლება ასეთი მიდგომისას კარგი რამ დაწერო კაცზე? არა. ასეთ მწერალს მეტისმეტად თავისებური თვალსაზრისი ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, როგორც გორკი ამბობდა, „ქვასაზრისი“ ექნება ადამიანზე. **(გამოცოცხლება დარბაზში. საერთო ტაში).**

ასეევა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების გამოხატვაშიც, რომელიც მილიონობით ადამიანისაგან შედგება. იქ თქვენ ნახავთ ბროლივით სპეტაკ ადამიანებსაც, მაგრამ არიან აგრეთვე მახინჯები — აშკარა კაცისმკვლელები, თაღლითები. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები კიდევ არიან ჩვენს საზოგადოებაში, იმიტომ რომ ჩვენ ვცხოვრობთ სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში და გვაქვს ბევრი ნაკლი, რომლებიც შემკვიდრეობად დაგვრჩა წყეული წარსულისაგან.

ადამიანი ხომ ერთბაშად არ იბადება კომუნისტურ ადამიანად. ასეთ კაცს ჯერ ვერავინ ვერ იცნობს და თქვენ იგი არ გინახავთ. მისი გამოგონება არ შეიძლება. იგი შეიქმნება კომუნისტური საზოგადოების აშენების პროცესში, სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დამთავრების პროცესში. მაგრამ რა არის „დამთავრება“? აქ არ არის გუთნით გავლებული საზღვარი, რომ შეიძლებოდეს ვთქვათ, აქ თავდება სოციალიზმი და იწყება კომუნიზმი. არა, ასე არ შეიძლება თქმა. სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პროცესი ხანგრძლივი და მეტად რთული პროცესია.

ზოგიერთმა მწერალმა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლა ისე გაიგო, რომ მათ იერიშები უნდა მიჰქონდეთ ეგრეთწოდებულ შემლამაზებლებზე და ამით თითქოს ეხმარებოდნენ პარტიას, რომელმაც გამოავლინა ნაკლოვანებანი. მაგრამ რა გმირებს შეასხეს მათ ხოტბა, როგორ წარმოუდგენიათ მათ ჩვენი საზოგადოება?

მე უკვე მომიხდა მელაპარაკა დუდინცევსა და მის გახმაურებულ რომანზე „არა პურითა ერთითა“, რომელზეც ზოგიერთი ჩვენი ავისმდომელი უცხოეთში ამბობდა, რომ ეს კინაღამ საუკეთესო ნაწარმოებია, რომელიც რუსულმა ლიტერატურამ მოგვცა. მაგრამ გავიდა სამი წელი. ახლა ვინ კითხულობს ამ ნაწარმოებს, ვის ესაჭიროება იგი? და სწორედ ხომ იქ იყო შეკრული ასეთი სუნიანი თაიგული. რა თქმა უნდა, იქ ყველაფერი ცუდად როდი იყო ნათქვამი. მე წავიკითხე ეს წიგნი და, უნდა ითქვას, უქინძისთავოდ წავიკითხე. **(გამოცოცხლება დარბაზში).** იქ ზოგიერთი ფურცელი ყურადღების ღირსია.

ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი, რომელმაც ჩემზე ადრე წაიკითხა ეს ნაწარმოები, მეუბნებოდა — წაიკითხე, მას აქვს ისეთი მსჯელობანი, რომლებიც თითქოს შენგან მოუსმენიაო!

დიახ, დუდინცევმა მარჯვედ შენიშნა ზოგიერთი უარყოფითი მოვლენა, მაგრამ გამოხატა გაზვიადებულად, განგებ განზოგადებულად. მე უკვე ვილაპარაკე ამაზე და ახლა მიმაჩნია, რომ დუდინცევი არასოდეს არ ყოფილა ჩვენი მტერი და არ ყოფილა საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე. **(ტაში).**

მართალია, მე არასოდეს არ მინახავს ეს კაცი, მსურდა მესაუბრა მასთან, მაგრამ სულ არ მეცალა. აი დააპირებ მის მიღებას, აქ საჭიროა შეხვდე ხან ელჩს, ხან რომელიღაც დელეგაციას. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ჰოდა მაინც არ მომიხდა მასთან საუბარი.

მაინც რა არის ასეთი ლიტერატურის ნაკლი? მე მარტო დუდინცევზე როდი ვლაპარაკობ, არამედ სხვა მწერლებზეც, რომლებიც შეუდგნენ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების გამოხატვას თავიანთი „ქვასაზრისით“. როგორც ჩანს, მათაც სურდათ დახმარებოდნენ პარტიას, თავიანთ ხალხს უარყოფითი მოვლენების დაძლევაში, მაგრამ როცა მათ დახატეს დამახინჯებული, გაზვიადებული სურათი, ამ სურათმა ერთბაშად მიიპყრო ჩვენი მტრების და არა მეგობრების ყურადღება. დადგა ისეთი სიმყრალე, რომ ნორმალურ ორგანიზმს არ შეეძლო მისი ატანა, თუ ნიშადურის სპირტი არ ეხმარა. მწერლები, რომლებიც ამკვიდრებენ ახალი საზოგადოების სიმართლეს, ყველა ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია ასეთი დამახინჯებული, ყალბი აღწერის არაკანონზომიერებაში, რასაც ცხოვრების გამოხატვის პრეტენზია ჰქონდა, აღშფოთდნენ, სამართლიანად აბეზღრდნენ ამის წინააღმდეგ. დაიწყო ბრძოლა.

მერე ვისკენ ვართ ჩვენ ამ ბრძოლაში? რა თქმა უნდა, იმ მწერლებისაკენ და იმ მიმართულებისაკენ, რომლებიც საფუძვლად იღებენ დადებით მოვლენებს, ამ დადებითით გვიჩვენებენ შრომის პათოსს, აღანთებენ ადამიანთა გულს, იწვევენ მათ წინ, უჩვენებენ ახალი სამყაროს გზებს. დადებითი გმირების სახეებით ისინი თითქოს განაზოგადებენ ადამიანთა საუკეთესო ნიშნებსა და თვისებებს, უპირდაპირებენ მათ უარყოფით სახეებს, გვიჩვენებენ ახლის ბრძოლას ძველის წინააღმდეგ და ახლის გარდუვალ გამარჯვებას. გვიჩვენებენ რა დადებითს, ისინი ამასთან ერთად გმობენ იმას, რაც უკუგდებულ უნდა იქნას. მკონია, რომ ასეთი მიდგომა ცხოვრების მოვლენების გამოხატვისადმი სწორია.

ყოველ შემთხვევაში მე ამას ვიცავ და ასე მესმის ეს საკითხები. აი როგორია ჩემი დამოკიდებულება ეგრეთწოდებული შემლამაზებლებისადმი. თუმცა მწერალი არა ვარ, მაგრამ რამდენადმე თავს ამ ჯგუფს ვაკუთვნებ. **(მხიარული გამოცოცხლება. საერთო ტაში).**

მინდა, ამხანაგებო, გამოვთქვა კიდევ რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც ეხება არცთუ შორეული წარსულის დახასიათებას. თქვენს წრეში ახლა კიდევ შესაჩნევია იმ ბრძოლის ნაშთები, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ საკმაოდ მწვავე ხასიათი ჰქონდა. ეს იყო პრინციპული იდეური ბრძოლა რევიზიონისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ უხეშად გაელაშქრათ პარტიის ხაზის წინააღმდეგ. ასეთი გამოლაშქრების წინააღმდეგ ამხედრდა მთელი მწერალთა საზოგადოებრიობა. მწერალთა უდიდესმა უმრავლესობამ გადაჭრით გაილაშქრა რევიზიონისტურ შეხედულებათა მატარებლების წინააღმდეგ. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეურმა ჩხუბმა ასე თუ ისე ჩაითრია ყველა მწერალი. მართალია, სხვადასხვა ადამიანი ამ ბრძოლას ეწეოდა სხვადასხვა ზომის აქტივობით და სხვადასხვა ხერხით.

ზოგიერთმა ლიტერატორმა ფიცხად შეუტია „მოწინააღმდეგის“ ხანგრძლივ საეცხლე წერტს და, ფრონტული ტერმინების ენით რომ ვთქვათ, შეიძლებოდა მათთვის გვეწოდებინა მეავტომატეები. ისინი მოქმედებდნენ აქტიურად და გაბედულად, არ ეშინოდათ ბრძოლის სიძნელეებისა და პირდაპირ ხვდებოდნენ მათ. ეს კარგი თვისებებია. ადამიანებმა, რომლებიც აქტიურად გამოვიდნენ ასეთ ბრძოლაში, დიდი და მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს. ახლა ეს ბრძოლა უკან დარჩა. რევიზიონისტულ შეხედულებათა და განწყობილებათა მატარებლებმა სრული იდეური განადგურება განიცადეს. ბრძოლა დამთავრდა და უკვე დაფრინავენ, როგორც ნათქვამია, „შერიგების ანგელოზები“, ამჟამად წარმოენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჭრილობების მოშუშების პროცესი. და ის ლიტერატორები, რომლებსაც მაშინ თავიანთი „ქვასაზრისით“ სურდათ განეხილათ ჩვენი საბჭოთა საზოგადოება, ახლა ისწრაფვიან მალე დაივიწყონ, რომ სერიოზულ შეცდომებს სჩადიოდნენ.

საკვირაოა, ჩემი აზრით, შევუმსუბუქოთ ამ ამხანაგებს მცდარი შეხედულებებიდან სწორ, პრინციპულ პოზიციებზე გადასვლა. არ უნდა მოვიხსენიოთ ისინი ავი სიტყვით, ხაზი არ უნდა გავუსვათ მათს ყოფილ შეცდომებს, მუდამ არ უნდა მივუთითებდეთ მათზე. აქედან სარგებლობა იქნება მხოლოდ ჩვენს საერთო საქმეს. **(ტაში).** საჭირო არ არის მივაგონებდეთ ამას, მაგრამ არც უნდა დავივიწყოთ. **(ტაში).** როგორც იტყვიან, ყოველი შემთხვევისათვის უნდა „გავაკეთოთ ნასკვი“, რათა საჭიროების დროს შეეხებოთ და გავიხსენოთ, რამდენი ნასკვია იქ და ეს ნასკვები ვის ეხება. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ლიტერატორთა შორის არიან კიდევ ცალკეული ადამიანები, რომლებსაც სურთ თავს დაესხნენ „მეავტომატეებს“, რომლებიც რევიზიონისტთა წინააღმდეგ გაჩაღებულ იდეურ ბრძოლაში ყველაზე აქტიურად გამოდიოდნენ, სწორ, პარტიულ პოზიციებს იცავდნენ. ზოგიერთს, როგორც ჩანს, სურს საქმე ისე წარმოიდგინოს, რომ ყველაფერში დამნაშავენი არიან სწორედ ეს ამხანაგები. მაგრამ ეს რა თქმა უნდა, ძირშივე არასწორია.

პრინციპული პოზიციები უნდა დავიცვათ, მტკიცე იდეური ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც უხეშად ილაშქრებს პარტიული ხაზის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, გაცხარებულ ბრძოლაში ხშირად ისეა ხოლმე, რომ ყველას მოხვდება, ვინც ბრძოლაში ებმება.

თქვენ ალბათ ცხოვრებაში არაერთგზის შეგხვედრიათ გენახათ ბიჭების ჩხუბი, მონაწილეობა მიგიღეთო ამ ჩხუბში. მე კი შახტებში მოზრდილთა ჩხუბიც მინახავს. იყო ხოლმე შემთხვევები, როცა კურსკელები და ორიოლელები ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. ამ ჩხუბის საცქერლად ზოგიერთი ადრევე გადიოდა, გადგებოდა განზე და უცქერდა, თუ როგორ ჩაღდებოდა ბრძოლა. რა თქმა უნდა, ეს იყო ძველ, რევოლუციამდელ დროს. ეს იყო, ასე ვთქვათ, ხარკი ველურობისა და უმეცრებისათვის. მაგრამ ასე იყო.

ბოდიშს ვიხდი ასეთი გაუბარალებისათვის, მაგრამ რამდენადმე იდეურ ბრძოლაშიც ხდება ამგვარი რამ. როცა შეტაკება იწყება, როგორც ერთი, ისე მეორე მხარეს ჰყავს თანამგრძნობნი, რომლებსაც სურთ რამენაირად მიიღონ მონაწილეობა ბრძოლაში. რით გამოიხატება ზოგჯერ ეს მონაწილეობა? თანამგრძნობებს ხშირად სურთ გაშველება. ისინი ეწევიან ერთ მოჩხუბარს ერთ მხარეს, ხოლო მეორეს — მეორე მხარეს. მოჩხუბრებს კი სურთ განთავისუფლდნენ და, შესაძლოა, იდაყვით ან კიდევ სხვა რამით ურტყამენ გამშველებლებს. როცა ჩხუბი გათავდა, ის, ვინც გაშველებას ცდილობდა, ჩივის, რომ მას ვიღაცამ აწყენინა. მას ეკითხებიან: შენ მონაწილეობა მიიღე ამ ჩხუბში? იგი უპასუხებს: არა, არ მიმიღია მონაწილეობა, მე ვაშველებდი. მაგრამ შენ ხომ ეწეოდი ერთს, გიჭირა იგი, ხელებს უჭერდი, ამ დროს კი მას თავს ესხმოდნენ, ჰოდა მან, თავს რომ იცავდა, შენ გითავაზა.

დაახლოებით ასეთი რამ ხდება იდეურ ბრძოლაშიც. პოლიტიკურ შეტაკებაშიც. სანამ მსოფლიოში კაპიტალიზმი არსებობს, არ შეიძლება არ იყოს იდეური ბრძოლა მოწინააღმდეგეებთან. ჩვენ ყოველთვის, როგორც ამბობენ, გზას ვუღიცავდით იმ მებრძოლებს, რომლებიც ამ წმიდა საქმეზე მიდიოდნენ, თვითონაც ვიღებდით და კვლავაც მივიღებთ მონაწილეობას ასეთ „ბრძოლებში“. ასეთი ბრძოლები გარდუვალია, იმიტომ რომ წარმოებს იდეური, პოლიტიკური ბრძოლა. ამ ბრძოლაში ნეიტრალურნი არ შეიძლება იყვნენ, ხოლო თუ შენ გსურს ნეიტრალური იყო, შორს დადექი. როცა აქტიურები იბრძვიან, თორემ მოგხვდება როგორც ამათგან, ისე იმათგან. **(ტაში).**

მას შემდეგ, რაც ბრძოლა დამთავრდა, ზოგიერთ იმათგანს, ვინც იწყებდა „ჩხუბს“, ვინც იწყებდა ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, სურს რაც შეიძლება მალე დაივიწყოს, თუ ვინ არის ნამდვილად წამომწყები, ცდილობს გულზე ხელი დაიჭიროს, როგორც ჩვეულებრივ წმიდანებს გამოხატავენ ხატებზე. და ასეთი სათნო პოზით ისინი აცხადებენ, რომ თითქოს მათ ამაოდ აწყენინეს. მაგრამ ამგვარ საჩივარს შეიძლება ვუპასუხოთ კითხვით: „რისთვის გცემეს?“ და უნდა დავძინოთ: „სწორად გცემეს. ჩანს ცოტა გცემეს, თუ ასე იქცევით“. **(ტაში).**

თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ, რისკენ მოგიწოდებთ, ბრძოლაში ვნებათა გაღვივებისა თუ შერიგებისაკენ? გიპასუხებთ — ძალთა შეკავშირებისაკენ პრინციპულ საფუძველზე. ვფიქრობ, რომ ეს შეკავშირება უკვე დაიწყო, იგი სულ უფრო მტკიცდება.

ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიმ კარგად თქვა: „თუ მტერი არ ნებდება, — მას სპობენ“. ეს უაღრესად სწორია. ეს კლასობრივი თვალსაზრისია, ჩვენ მას ვიცავდით და ვიცავთ პოლიტიკური, კლასობრივი ბრძოლის შეფასების დროს. როცა საქმე ეხება მუშათა კლასს, მშრომელი ხალხის ინტერესებს, მათს ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ, არ შეიძლება მოვუწოდებდეთ შერიგებისაკენ. ასეთ შემთხვევაში შერიგებისაკენ მოწოდება სხვა არა არის რა, თუ არა კაპიტულაცია. ეს არ არის ჩვენი ხაზი, ეს არ არის კომუნისტური, ბოლშევიკური ხაზი.

მაგრამ არის სწორი ანდაზა, წაქცეულს არ სცემენო. და თუ იდეურ ბრძოლაში მოწინააღმდეგე ნებდება, თავს დამარცხებულად აღიარებს და განაცხადებს, რომ მზად არის დადგეს სწორ პოზიციებზე, ზურგს ნუ შეაქცევთ მას, გაუგეთ მას, მიეცით ხელი, რომ მან შეძლოს მწყობრში ჩადგომა, თქვენთან ერთად მუშაობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

მინდა ვთქვა, რომ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არ არიან მტრული კლასები და ჯგუფები, სადაც მთელი ცხოვრება შენდება ამხანაგობისა და მეგობრობის პრინციპებზე, უფრო გულისხმიერად უნდა მოვეკიდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც „ეშმაკმა გზა-კვალი აუბნია“.

ჩვენ გვწამს, რომ არ არიან გამოუსწორებელი ადამიანები. თქვენ იცით ფილიქს ძერჟინსკის კეთილშობილება, მისი მეთოდი, თუ როგორ ზრდიდა იგი სოსლის სამართლის დამნაშავეებსაც კი და არა მარტო თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. თქვენ იცით, თუ რა ნაყოფი გამოიღო აღზრდის ამ მეთოდმა.

ჩვენს პირობებში ადამიანებს უნდა მივუდგეთ გულისხმიერად, გვჯეროდეს ადამიანისა, ვხედავდეთ მის საბოლოო მიზანს — ბრძოლას კომუნიზმისათვის. უნდა აღვზარდოთ და გარდავქმნათ ადამიანები. პრინციპული კრიტიკის, იდეური ბრძოლის გზით უნდა ვცდილობდეთ შევაკავშიროთ კომუნისტური ძალები და ის ძალები, რომლებიც მიჰყვებიან ჩვენს პარტიას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ეს მთავარია. **(ტაში).**

მე მინდა, ამხანაგებო, გიამბოთ ერთი, ჩემი აზრით საინტერესო, ფაქტი. სულ ცოტა ხნის წინათ, როცა სოჭში ვიყავი, მივიღე ერთი მოქალაქის წერილი. წერილის ავტორის გვარს არ დავასახელებ იმიტომ, რომ ეს საჭირო არ არის. გავა რაღაც დრო, როცა ეს კაცი მტკიცედ დადგება ფეხზე, მაშინ, შესაძლოა აზრი ექნეს მისი გვარის დასახელებას. წაგიკითხავთ იმ კაცისაგან მიღებული წერილს, რომელიც მსჯავრდადებული იყო ქურდობისათვის. აი ეს წერილი:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

12 წელია ქურდობას ვეწევი, რისთვისაც მსჯავრდადებული ვიყავი ოთხჯერ, უკანასკნელად 1954 წელს მომისაჯეს ექვსი წელი. სასჯელი მოვიხადე. განთავისუფლების შემდეგ ოჯახს დავუბრუნდი და სამუშაოდ მოვეწყე დურგლად. თვეში ვიღებდი 500-600 მანეთს. ბინის ქირას ვიხდიდი 200 მანეთს თვეში და ვერ შევძელი უზრუნველმეყო ჩემი ოჯახი. ვალად დამედო ბინის ქირა 400 მანეთი და კანტორისა 600 მანეთი. მიმდინარე წლის 25 მარტს დავტოვე ოჯახი: 4 წლის ქალიშვილი, დედა, ცოლი (ცოლი სამშობიაროო სახლშია ახალშობილთან ერთად) და წავედი იოლ ცხოვრებაზე ფიქრით. მაგრამ ჩემი ძველი დანაშაულებრივი ცხოვრების დაწყება არ შემძლია და ვერც ოჯახს დავუბრუნდები, რადგან იგი უფულოდ და ვალებში დავტოვე. ამ ხუთ დღეში, რაც მე წავედი, არც ერთი დანაშაული არ ჩამიდენია.

მე არ მაშინებს პასუხისმგებლობა და გთხოვთ მიპასუხოთ რჩევით, როგორ მოვიქცე. მე დაველოდები ყოველდღე ამ დროის განმავლობაში, რამდენადაც ნებისყოფა მეყოფა, დაველოდები საუბარს თქვენთან. თუ საჭიროდ მიიჩნევთ ჩემს დაპატიმრებას, ამის თანახმაც ვარ.

**ხელმოწერა“.**

ეს იყო სოჭში. მე მოვიწვიე წერილის ავტორი საუბრისათვის. გავიცანით ერთმანეთი. როცა მისი გვარი გავიგე, ვუთხარი, რომ წინათ ვიცნობდი ასეთი გვარის ერთ გენერალს.

წერილის ავტორი იყო ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდაათი წლისა. საუბარში იგი ჭკვიანი და სასიამოვნო იყო. მან მიამბო თავის თაგზე, თავის ცხოვრებაზე, როგორ დაკარგა მამა, იმ წრეზე, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მასზე. იგი ამბობდა:

— გაიგეთ ჩემი მდგომარეობა, მე შემძლია მტვირთავად ვიმუშაო, ხელავთ — ღონიერი კაცი ვარ. მაგრამ არ მიშვებენ ამ სამუშაოზე, მიყურებენ როგორც ქურდს. მტვირთავები კარგად იღებენ და მეც შემეძლო კარგი ხელფასი მიმეღო, მაგრამ არ მენდობიან. ამ ბოლო დრომდე ბრიგადაში ვმუშაობდი. სხვები ბრიგადაში მეტს იღებენ, ვიდრე მე. მიყურებენ როგორც ქურდს და ამიტომ ნაკლებ კვალიფიციურ სამუშაოს მაძლევენ. რა ვქნა ახლა, როგორ მოვიქცი ოჯახს? ბინას არ მაძლევენ. ვცხოვრობ ქირაო ბინაში. სახელმწიფო ბინა რომ მქონდეს, ნაკლებს გადავიხდიდი. დამეხმარეთ. პირობას გაძლევთ, რომ პატიოსანი კაცი ვიქნები, დაგიმტკიცებთ ამას.

ამ კაცს რომ მოვუსმინე, რომ ვესაუბრე, დავუჯერე, იგი კარგი კაცი მეჩვენა. იქნებ ლიბერალურად მივუდგეი ამ კაცს, მაგრამ მესიამოვნა მასთან საუბარი. დავუჯერე მას, და მინდა ვიფიქრო, რომ არ მომატყუებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

— რა გსურთ ჩემგან, რით შემიძლია დაგეხმაროთ? — ვკითხე მას.

— დამეხმარეთ, რომ შევძლო ოჯახის შენახვა, — თქვა მან. — ეს უწინარეს ყოვლისა. მინდა დავუბრუნდე ცოლ-შვილსა და დედას.

— კარგი, შევეცდები დაგეხმაროთ, — ვუპასუხე მას. — დავურეკავ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანს. ვთხოვ მას, რომ ყურადღება მოგაქციონ, სამუშაოზე მოგაწყონ, დაგეხმარონ კვალიფიკაციის შეძენაში, რომ შეძლოთ მეტი ხელფასის მიღება. მაგრამ ეცადეთ პატიოსნად იმუშაოთ. შემდეგ მე ვთხოვ, რომ კრედიტი მოგცენ. (წარმოდგინეთ, ყოფილ ქურდს კრედიტი მივცეთ! **(სიცილი, ტაში).** ეს შესაძლოა მხოლოდ ჩვენს საბჭოთა პირობებში). **(ტაში).**

თქვენ მოგცემენ კრედიტს, რომ აიშენოთ პატარა სახლი, ან ვთხოვ, თუ ეს შესაძლებელია, რომ მოგცენ ბინა, მაშინ ნაკლებს გადაიხდით. (ცნობილია, რომ ჩვენში ბინის ქირა ყველაზე მცირეა მსოფლიოში; მე ვიტყოდი, ეს სიმბოლური ქირაა, იმიტომ რომ ეს სახსრები, ალბათ, არ ყოფნის ამ სახლის მეეზოვის შენახვას).

ჩემმა თანამოსაუბრემ მითხრა:

— ეს ძალიან კარგი იქნება. დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი.

დარწმუნდა რა საუბრის დროს, რომ მისი სჯერათ, რომ მას ადამიანურად ელაპარაკებიან, წერილის ავტორმა ასეთი თხოვნით მომმართა:

— ამხანაგო ხრუშჩოვ, იცით, რომ მე ძალიან მინდა თქვენთან ერთად სამახსოვროდ ფოტოსურათი გადავიღო. **(სიცილი, ტაში).**

მე ვუპასუხე:

— ეს შეიძლება, და

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

ვთვლით მოვალეებად და შეეცდებით წავიკითხოთ თქვენი სიტყვები, გავეცნოთ თქვენს შენიშვნებსა და წინადადებებს.

ვფიქრობ, რომ ჩემს გამოსვლაში არ უნდა დავიწყო თქვენი ნაწარმოებების გარჩევა. როგორც იცით, მე ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ, ამიტომ არც ვგრძნობ თავს მოვალედ გავარჩიო თქვენი ლიტერატურული შრომები.

ზოგიერთი ფაქტი მოწმობს, რომ თვით თქვენც არცთუ ძლიერ ხალისით აკრიტიკებთ ერთმანეთს. არა მგონია, რომ გსურდეთ ეს არასასიამოვნო საქმე მე დამაკისროთ. თვითონ წერთ, უწინარეს ყოვლისა თვითონვე უნდა აკრიტიკებდეთ დაწერილს. **(სიცილი. ტაში).** თქვენ კარგად იცით, რომ, ნაწარმოებების გარჩევისას, ერთი უნდა აქოთ, მეორე გააკრიტიკოთ, ხოლო მესამე შუაში დააყენოთ. ხომ არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ, რომ აი მოვიდა კაცი და მოიტანა ორი ტომარა, ერთშია ტკბილი კამფეტები, მეორეში კი მწარე აბები, და დაიწყო დარიგება — ერთს ერთი კამფეტი მისცა, მეორეს ორი კამფეტი, მესამეს კი — მწარე აბი. უფრო სწორი იქნება, თუ თვითონვე კამფეტებსაც დაარიგებთ და აბებსაც მიიღებთ, განსაზღვრავთ, როდის არის ეს საჭირო და ვის რა ერგება. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ყოველდღიური ღრმა გარჩევა ჩვენი ლიტერატურის წარმატებით განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. აი ამიტომ უფლება არა გაქვთ თავი აარიდოთ თქვენი მოძმეების კრიტიკას და მათ ნაწარმოებთა გარჩევას. რას ნიშნავს ლიტერატურული კრიტიკა? ეს არის სამწერლო იარაღის გალესვა, ნაწარმოების ღრმა გარჩევა, ეს არის ლიტერატორთა ოსტატობის სრულყოფა. ჩემთვის საჭირო არ არის დაწვრილებით ვილაპარაკო ამაზე, თქვენ თვითონ კარგად იცით ასეთი საკითხების მთელი მნიშვნელობა. ჩვენ გვსურს და ხალხი ელოდება ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, კარგ ნაწარმოებებს, რომლებიც მოგვიწოდებენ ბრძოლისათვის, მოგვიწოდებენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

თქვენ ალბათ იცით, რომ მე მოუსვენარი ხასიათის კაცი ვარ, არ მიყვარს ღეჭვა. ყოველი კაცი თავის პოსტზე აქტიური უნდა იყოს, ლიტერატურაში დიდი მგზნებარება უნდა იყოს. აქტიური საქმიანობა, ბრძოლა მაღალი იდეალებისათვის, ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის — ყოველივე ეს კაცს მოსწონს. კაცი რომ პასიური იყოს, ჩვენ ვერ შევძლებდით წინსვლას. მხოლოდ მილიონობით და მილიონობით ადამიანის ბრძოლა ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის, აქტიური, შთაგონებული და მგზნებარე ბრძოლა გვაძლევს საშუალებას სწრაფად ვიაროთ წინ და გავიმარჯვოთ. საეჭვოა, პასიურმა, გულგრილმა, ფლეგმატიურმა ადამიანებმა დაწერონ ნაწარმოებნი, რომლებიც გამსჭვალული იქნებიან მგზნებარებით და მოგვიწოდებენ საგმირო საქმეებისათვის. ან იქნებ ეს შეიძლება? **(გამოცოცხლება დარბაზში).** ამ საკითხზე კონკრეტული მაგალითები არა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს საეჭვოა შესაძლებელი იყოს.

ამხანაგებო! ჩვენ ვამაყობთ უფროსი თაობის შესანიშნავი მწერლებით, ვამაყობთ ახალგაზრდობით, რომელიც მწყობრში დგება. საჭიროა ყურადღებით, მზრუნველობით მოვეპყროთ ახალგაზრდობის შემოქმედებას. მინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვა დამწყებ მწერლებთან მუშაობის შესახებ. თუ ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები არ იქნენ, ლიტერატურა მთლიანად ვერ გაიზრდება. ახალგაზრდობა ჩვენი ცვლაა. თვითეული იწყებს რაღაც მცირეთი, ხოლო შემდეგ გავარჯიშდება, შექმნის დიდ, კარგ ნაწარმოებებს და მის ნიჭს აღიარებენ. ნიჭი ერთბაშად როდი იბადება, იგი თანდათან უმჯობესდება.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდაში ჩვენ არსებითი ნაკლი გვაქვს. ეს ნაკლი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ჩვენში ხშირად ქმნიან სათბურის პირობებს დამწყებ მწერლებისათვის. **(ტაში).**

გაიხსენეთ, რა მკაცრი პირობები იყო მეფის რუსეთში საერთოდ ადამიანისათვის, ხოლო მით უმეტეს მწერლისათვის, მოაზროვნე ადამიანისათვის, რომელიც ვერ ურიგდებოდა ძველი საზოგადოების მანკიერებას. თვითონ იყო აღშფოთებული და, გამოხატავდა რა თავის აღშფოთებას ნაწარმოებებში, აღაშფოთებდა მილიონობით ადამიანს, რაზმავდა უკეთესი ცხოვრებისათვის საბრძოლველად. ცნობილია, თუ რა ძნელი იყო იმ დროს შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის გზის გაკაფვა.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად პირობები ძირეულად შეიცვალა. ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში შექმნილია გასაქანი ადამიანის ყველა შემოქმედებითი შესაძლებლობისა და ნიჭის ყოველმხრივი გაფურჩქვნისა და გამოვლინებისათვის. ჩვენ გვსურს, რომ ახალგაზრდობის შემოქმედება უფრო მეტად ვითარდებოდეს. ჩვენს საბჭოთა წრეში ბევრი ტალანტი იბადება. საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავეხმაროთ ნიჭიერი ადამიანების ზრდას. მაგრამ ხელოვნურად არ უნდა მოვწყვიტოთ ისინი მიწას, იმ წრეს, რომელშიც ცხოვრობენ.

მე სიმინდის დამცველად მაღიარებენ. მინდა მოვიყვანო მაგალითი სიმინდის მოყვანისა ნორმალურ და სათბურის პირობებში და ერთგვარი ანალოგია გავატარო ახალგაზრდა ლიტერატორების აღზრდაში. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

სიმინდის მოყვარული ბევრია: იგი უყვართ ქართველებს, სომხებს, უკრაინელებსა და სამხრეთი ოლქების რუსებს. განსაკუთრებით გემრიელია ჭყინტლი სიმინდი. ვისაც ის არ უჭამია, არ იცის, რა გემრიელი საჭმელია. ჰოდა აი ადამიანებმა, რომლებსაც სიმინდის მოყვანის გამოცდილება არა ჰქონდათ, მაგრამ ძლიერ სურდათ იგი უფრო ადრე მოეყვანათ, დაიწყეს მისი ჩითილის გამოყვანა სათბურებში. მახსოვს, ერთმა აგრონომმა, იცოდა რა, რომ მე გატაცებით ვუწევ აგიტაციას სიმინდს, ალბათ გადაწყვიტა ესიამოვნებინა ჩემთვის: მან სათბურში გამოიყვანა სიმინდის ჩითილი და შემდეგ მინდორში გადარგო. როცა მე მივედი ამ ყანის სანახავად, შემდეგი სურათი ვნახე: დათესილი სიმინდი ჯერ არ ამოსულიყო, ხოლო სათბურიდან გადარგული სიმინდი 20-30 სანტიმეტრზე გაზრდილიყო. შევხედე ამ ნათესებს და აგრონომს ვუთხარი:

— იცით, რომ თქვენ სისულელე ჩაიდინეთ?

— როგორ? რატომ? — მეკითხება იგი.

მე ვუპასუხე:

— გრუნტში დათესილი სიმინდი, თუმცა ჯერ არ ამოსულა, მაგრამ გაიზრდება, განვითარდება და კარგ მოსავალს მოგვცემს, სათბურებიდან გადმორგული სიმინდი კი დაჭნება, კარგ მოსავალს არ მოგვცემს, რადგან იგი სათბურის პირობებში გამოჰყავდათ. შეხედეთ გადარგულ სიმინდს, იგი უღონო, ყვითელია, სიმწვანე არა აქვს, როგორც მზით არა აქვს გარუჯული სახე იმ ადამიანს, რომელიც ქოლგას იფარებს. რა თქმა უნდა, ეს მცენარე ვერ გაუძლებს ყველა განსაცდელს, რომლებსაც თავის განვითარებაში შეხვდება.

რამდენადმე ზოგიერთი ჩვენი დამწყები მწერალიც მაგონებს სიმინდს, რომელსაც, სანამ გრუნტში გადარგავდნენ, სათბურში ზრდიან. არის ხოლმე ასე: დაწერს კაცი პირველ მოთხრობას ან ლექსს და ერთბაშად ატყდება ხმაური, რომ გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი, ახალი ნიჭი. **(გამოცოცხლება დარბაზში. ხანგრძლივი ტაში).** ეს ამხანაგი, რომელმაც პირველი ნაწარმოები დაწერა, მწერალს ან პოეტს არ უწოდებდა თავის თავს, მან მხოლოდ სცადა თავისი ძალები, მასზე კი უკვე ბუკი და ნაღარა დაჰკრეს, ეს ნიმუში, ალმასია, რომელსაც კაცობრიობა მოელოდაო, იგი მწერალთა კავშირში შეჰყავთ. თუ ასეთი დამწყები პროვინციაში ცხოვრობს, მაშინ ამბობენ, რომ ბინა უნდა მიეცეს მოსკოვში ან რესპუბლიკის დედაქალაქშიო. ეს ახალი ვარსკვლავია და განა შეუძლია პროვინციაში იმყოფებოდესო?

განა ეს სწორია? მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი ხომ თავის დედაქალაქში — სტანიცა ვეშენსკაიაში ცხოვრობს, აბა, დედაქალაქელებო, შეეჯიბრეთ მას ლიტერატურის ასპარეზზე. **(ტაში).**

საკითხი ის კი არ არის, ვინ სად ცხოვრობს, არამედ ის, ვის რა შეუძლია, რისი ნიჭი აქვს ამა თუ იმ კაცს. **(ტაში).**

ვფიქრობ, რომ სათბურის პირობების შექმნას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს შემოქმედი ახალგაზრდობის აღზრდაზე. მართლაც, რა ემართება ზოგჯერ ადამიანს, რომელსაც ხოტბა შეასხეს და წაიყვანეს იმ წრიდან, სადაც წინათ მუშაობდა. იგი აღიარეს მწერლად, გადასცეს მწერალთა კავშირის წევრის ბილეთი, მისცეს ბინა დედაქალაქში. მანამდე იგი მუშაობდა წარმოებაში ტრაქტორისტად, კომბაინერად, ხარატად, ზეინკლად, კონსტრუქტორად, ინჟინრად, აგრონომად. იგი ხომ მწერლად არ დაბადებულა, და სადღაც იზრდებოდა, შრომობდა. ხოლო მერმე ირკვევა, რომ პირველი კარგი ნაწარმოების შემდეგ ამ კაცს არ შეუძლია დაწეროს ახალი, უკეთე'ი ნაწარმოები. რა უნდა ქნას მან? აი იგი მსჯელობს: კომბაინის შტურვალთან ჯდომა მწერლისათვის არ ვარგა, ქარხანაში წავიდე, არც ეს ვარგა. მერე სად მიდის? მიდის მწერალთა კავშირში, რათა ფული მიიღოს ლიტერატურული ფონდიდან. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).** იქ მას კვებავენ. მას მიაჩნია, რაკი აღიარეს, რომ ტალანტია, საუკეთესო ბილეთი მისცეს, როგორც მისი ნიჭის დასტური, — მაშ მიეცით. და თუ აძლევთ, მაშინ მეტიც მიეცით. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

შესაძლოა, რამდენადმე ვაზვიადებდე. არავინ არ აპირებს აქედან ტრაგედია შექმნას. მინდა მხოლოდ გიჩვენოთ, რომ ეს არის იმ ნორმებისაგან გადახვევა, რომლებსაც უნდა ვიცავდეთ. **(ტაში).**

საჭიროა დავეხმაროთ ახალგაზრდა ამხანაგებს განავითარონ თავიანთი ნიჭი, მხარი დავუჭიროთ ახალგაზრდობას, როგორც უჭერდა მხარს ბევრი ძველი მწერალი, როგორც უჭერდა მხარს გორკი. მე წამიკითხავს მიხეილ მიხეილის-ძე კოციუბინსკის წერილები, წამიკითხავს მისი მიწერ-მოწერა გორკისთან, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა კოციუბინსკის, ისე როგორც ბევრი სხვა მწერლის, ხელოვნების ოსტატის შემოქმედებაზე. დაე გამისწორონ უკრაინელმა მწერლებმა — ნიკოლოზ პლატონის-ძე ბაჟანმა, ალექსანდრე ევდოკიმეს-ძე კორნეიჩუკმა და მაქსიმე თადეოზის-ძე რილსკიმ, თუ არასიზუსტე დავუშვი,—კოციუბინსკი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის კომისიაში, მუშაობდა სტატისტიკოსად ერობის გამგეობაში და ეწეოდა სალიტერატურო შრომას. როგორც იცით, იგი კარგად წერდა.

რატომ არ უნდა წავიდეს მწერალი იმისათვის, რომ მუშაზე დაწეროს, იქ, სადაც მუშები ცხოვრობენ და შრომობენ, შეისწავლოს, თუ როგორ მუშაობენ ისინი. განა უმჯობესი არ არის მათთან ერთად იცხოვროს? განა ეს ცუდია? **(ტაში).** მაშინ მოგზაურობისათვის დროის დაკარგვაც საჭირო არ იქნება. **(ტაში).**

ამხანაგებო, მე როდი ვფიქრობ, რა თქმა უნდა, შემოვიტანო წინადადება, რომ დედაქალაქელი მწერლები სხვადასხვა ადგილას დავასახლოთ საბჭოთა კავშირის შახტებში, ქარხნებსა და კოლმეურნეობებში. არა, ეს გონივრული არ იქნებოდა. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ მწერლები უფრო ღრმად უნდა იჭრებოდნენ ცხოვრებაში, სწავლობდნენ მას, მხატვრული სახეებით ახორციელებდნენ ყოველივე ახალს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში, უფრო ღრმად გვიჩვენებდნენ ადამიანს— ჩვენი საზოგადოების მთელი მატერიალური და სულიერი ფასეულობის შემქმნელს.

განა სასარგებლოა ის ადამიანები, რომლებიც გაიზარდნენ და ცხოვრობენ გარკვეულ წრეში — კოლმეურნეობაში, ქარხანაში, დაწესებულებაში, საზრდოობენ ამ წრის ნიადაგიდან, ამოვგლიჯოთ იქიდან და გადავიყვანოთ ხელოვნურად შექმნილ სათბურის პირობებში. ეს რომ ვქნათ, ადამიანს შეუძლია დაკარგოს ნიადაგი ფეხქვეშ, ვეღარ მიიღოს მაცოცხლებელი წვენი და თავი ისე იგრძნოს, როგორც მიწიდან ამოგლეჯილმა მცენარემ. მაგალითად, როცა თქვენ ამოთხრით ძირითად ფესვებს და გადარგავთ ხეხილს, საჭიროა 2-3 წელი, სანამ ახალი განშტოებული ფესვები წამოიზრდებოდეს. და ხე კვლავ აყვავდებოდეს. ასე ემართება ადამიანსაც, როცა იგი გამოჰყავთ ჩვეული წრიდან. მას შეუძლია რამდენიმე ხნის შემდეგ ფესვი გაიდგას, დადგეს ფეხზე, მაგრამ შეიძლება კიდევაც დაჭკნეს.

ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო ერთი დიდი ხნის საუბარი უკრაინელ მწერლებთან. როცა უკრაინაში სამუშაოდ ჩავედი, ეს იყო ჯერ კიდევ ომამდე, ჩემთან მოვიდნენ მწერლები, კარგი ამხანაგები, არ დავასახელებ მათს გვარებს. ჩვენ ვისაუბრეთ ზოგიერთ საკითხზე, ხოლო შემდეგ ისინი მეუბნებიან:

— ამხანაგო ხრუშჩოვ, სათხოვარი გვაქვს თქვენთან.

— რა?

— ჩვენში გამოჩნდა შესანიშნავი სახალხო პოეტი, გლეხი ქალი.

— ეს კარგია, — ვეუბნები, — ახლა ბევრი ნიჭიერი ადამიანი ჩნდება. მერე რა ესაჭიროება მას?

— იგი სოფლად ცხოვრობს, — მეუბნებიან ჩემი მოსაუბრეები.

— მერე რ გინდათ?

— ბინა უნდა მივცეთ კიევში.

მაშინ ამხანაგებს შემდეგი ვუთხარი: ეს ქალი ლექსებს თხზავს კოლმეურნეობის ცხოვრებაზე, თუმცა იგი მცირემცოდნეა, მაგრამ ალბათ ნიჭიერია. იგი ლექსებს თხზავს იმ ადამიანთა და მოვლენათა შესახებ, რომლებსაც ხედავს, რომლებშიც მონაწილეობს. მაგრამ წამოიყვანეთ იგი კოლმეურნეობიდან, დაასახლეთ კრემჩატიკზე, რაზე შეუძლია დაწეროს? იგი მალე ჩაჭკნება, ვერაფერს ვერ შეთხზავს, ხოლო თუ წერა მოინდომა, იძულებული იქნება კოლმეურნეობაში წავიდეს.

ჩემმა მეგობარმა მწერლებმა მომისმინეს, შემდეგ კი მაინც მიიღეს ეს კოლმეურნე მწერალთა კავშირში. მაგრამ მისგან არაფერი არ გამოსულა, რადგან იგი ნაკლები კულტურის, მოუმწიფებელი ადამიანია. მან იცოდა მხოლოდ გარითმვა, მაგრამ მარტო რითმა ხომ არ არის პოეზია **(ტაში).**

ვფიქრობ, ამხანაგებო, თქვენ სწორად გამიგებთ და დამეთანხმებით, რომ უნდა დავეხმაროთ დამწყებ ახალგაზრდობას განურჩევლად ასაკისა, მაგრამ არ უნდა ჩავაყენოთ იგი ხელოვნურად სათბურის პირობებში. ადამიანი ვერასოდეს ვერ ისწავლის ცურვას, თუ მას მუდამ ექნება დასაყრდენი წყალში. ცურვა რომ ვისწავლოთ, უნდა გადავეშვ ა თ წყალში, მოვსინჯოთ ჩვენი ძალები, ვივარჯიშოთ. თუ ის, ვინც ცურვას სწავლობს, იხრჩობა, დაეხმარეთ მას, მაგრამ შემდეგ ასწავლეთ. რომ თვითონ იცუროს. მიეცით შესაძლებლობა დამწყებ მწერალს საკუთარი ძალებით განავითაროს თავისი ნიჭი. **(ტაში).**

ამხანაგებო! შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ „მწერლის უფლებაზე დაუშვას შეცდომები", „მწერლის უფლებაზე განიცადოს მარცხი"? ვფიქრობ, რომ მწერლის თვით მდგომარეობა და როლი საზოგადოებაში არ აძლევს მწერალს ასეთ უფლებას. კარგად თქვა ლეონიდ სერგის-ძე სობოლევმა მწერალთა პირველ ყრილობაზე 1934 წელს: პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა მწერალს მისცეს ყველაფერი და წაართვეს მას მხოლოდ ერთი რამ — ცუდად წერის უფლება.

ჩემი აზრით, ხალხმა მწერალს წაართვა არა მარტო ცუდად წერის უფლება, არამედ უწინარეს ყოვლისა არასწორად წერის უფლება. ნაწარმოები შეიძლება დაწერილი იყოს, ასე ვთქვათ, არცთუ მაღალ დონეზე. მაგრამ რა ვუყოთ, მკითხველი მისცემს თავის შეფასებას ცუდ ნაწარმოებს. სულ სხვა საქმეა, თუ ნაწარმოები დაწერილია არასწორად, ესე იგი ნაწარმოებში აღებულია არასწორი ამოსავალი პოზიციები. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ, რადგან ეს არის ლიტერატურული წუნი.

შეიძლება თქვან, რომ არ არსებობს წარმოება უწუნოდ. ეს მართალია, მაგრამ არის სხვადასხვაგვარი წუნი, სხვადასხვაგვარი შეცდომა. დამეთანხმებით, რომ ერთია რომელიმე დეტალის წუნი, დაშვებული ზეინკლის ან ხარატის მიზეზით, და სულ სხვაა ლიტერატურული წუნი. პირველ შემთხვევაში საქმე იმით ამოიწურება, რომ წუნდებულ დეტალს გადააგდებენ, დაუკვეთენ ახალს და დაიკარგება მხოლოდ დრო, რომელიც დეტალის გაკეთებას მოუნდა, და მასალა. მეორე შემთხვევაში წუნდებულ ლიტერატურულ პროდუქციას ენიჭება სიცოცხლე (შეცდომებიანი წიგნი ხომ გამოიცა!), იგი გაიკვლევს გზას მკითხველებისაკენ და ისეთი მკითხველებისკენაც კი, ვინც ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ დგას ფეხზე და კარგად ვერ ერკვევა ხელოვნურად ნაწარმოების ღირსებებსა და ნაკლოვანებებში. მკითხველი ხედავს, რომ წიგნი დაწერა მწერალმა, და ნდობით უდგება მას. თქვენ იცით, თუ რა პატივისცემა ჩაუნერგა პარტიამ ჩვენს ხალხს მწერლებისადმი, მხატვრული ნაწარმოებისადმი, ბეჭდური სიტყვისადმი. სწორედ ამიტომ ლიტერატურული ნაწარმოები, თუნდაც მასში იყოს სერიოზული იდეური შეცდომები, შეიძლება მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა მიიღოს როგორც ნამდვილი ნაწარმოები, რომელსაც ნდობით უნდა მოეკიდო და რომლისგანაც უნდა ისწავლო ცხოვრება და ბრძოლა. თვითონ განსაჯეთ, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს საბჭოთა ადამიანებს, კომუნისტურ მშენებლობას ასეთმა წუნდებულმა ლიტერატურამ.

თქვენ იტყვით, აბა სად არის გარანტია შეცდომებისგანო? დიახ, გარანტიის მიცემა ძნელია, იმიტომ რომ მწერალი, თუ იგი ჭეშმარიტად საბჭოთა მწერალია, შეცდომებს უშვებს არა შეგნებულად, არა წინასწარი განზრახვით, არამედ მთელი რიგი მიზეზების გამო — ცხოვრების არასაკმაოდ ცოდნის, არასწორად აღებული ამოსავალი პოზიციების გამო და სხვ. ეს რომ არ დავუშვათ, უნდა გვახსოვდეს, რომ მწერლები ცხოვრობენ საზოგადოებაში, ასახავენ საზოგადოების ცხოვრებას, მათს შემოქმედებას უნდა წარმართავდეს საზოგადოებრივი კრიტიკა, ისინი ყურს უნდა უგდებდნენ მას, ანგარიშს უწევდნენ, მართავდნენ ამხანაგურ დისკუსიებსა და განხილვას, საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოჰქონდეთ თავიანთი ნაწარმოებნი.

თქვენ ისევ შეიძლება თქვათ: გვაკრიტიკეთ, კონტროლი გაგვიწიეთ ღა, თუ ნაწარმოები მცდარია, ნუ დაბეჭდავთო. მაგრამ თქვენ იცით, რომ არც თუ ადვილია ერთბაშად გაერკვე, რა უნდა დაიბეჭდოს და რა არ უნდა დაიბეჭდოს. ყველაზე ადვილი გზა ის არის, რომ არაფერი არ დაბეჭდო. მაშინ არ იქნება არავითარი შეცდომა, ხოლო ადამიანი, რომელმაც აკრძალა ამა თუ იმ ნაწარმოების დაბეჭდვა, ჭკვიანად ჩაითვლება. მაგრამ ეს სისულელე იქნებოდა. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

ამიტომ, ამხანაგებო, ნუ დააკისრებთ მთავრობას ასეთი საკითხების გადაჭრას, თვითონ ამხანაგურად გადაწყვიტეთ ისინი. ჩვენი აზრით, ეს იქნება კრიტიკა და კრიტიკა ნამდვილი. თუ ეს ჭეშმარიტი ლიტერატურული კრიტიკა, მისთვის ნათლიმამებსა და ძმებს არა აქვთ მნიშვნელობა, იგი უნდა ზრუნავდეს მთავარზე — ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ და მხატვრულ ღირსებებზე. ასე უნდა დავაყენოთ საქმე.

ვფიქრობ, რომ ალექსანდრე ტრიფონის-ძე ტვარდოვსკი მართალი იყო, როცა თავის გამოსვლაში ყირიმობაზე განაცხადა, რომ ლიტერატურულ შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვს უწინარეს ყოვლისა ხარისხს. სწორია, რომ სულიერ მოღვაწეობაში უპირატესობა ეძლევა „უკეთესს", ვიდრე „მეტს". მოგვეცით ერთი წიგნი, მაგრამ კარგი. ცოტა წიგნი დაწერა ნიკოლოზ ოსტროვსკიმ, მაგრამ მისი „როგორ იწრთობოდა ფოლადი" ნამდვილი წიგნია. მწერალი გარდაიცვალა, მაგრამ მისი წიგნი, ალბათ, საუკუნეობით იცოცხლებს. არ დავასახელებ სხვა ავტორებსა და სხვა ნაწარმოებებს — ისინი ჩვენში ბევრია. უნდა ვეცადოთ შეექმნათ კარგი წიგნები, რომ მათ დიდხანს იცოცხლონ და სიხარული მიანიჭონ ადამიანებს.

ბავშვობიდან გულში ჩამწვდა ნიკოლოზ ალექსის-ძე ნეკრასოვის სტრიქონები მისი პოემიდან „პაპა". კარგად მახსოვს ი ს ი ნ ი სიტყვასიტყვით.

აი ეს სიტყვები:

**საშა, სასწაულს ვეტყვი, თვით ვნახე:**
**ერთხელ რუსები გადაასახლეს**
**ერთ უკაცრიელ, უდაბურ მხარეს.**
**რუსები იყვნენ სულ ერთი მუჭა.**
**ამშუშავებდნენ სილაღით მიწებს,**
**და მათთვის დროც არ გასულა ფუჭად.**
**ერთი წლის შემდეგ ველარც კი იცნეს**
**თვით კომისრებმა! ნახეს, რომ**
**მართლაც —**
**სადაც ხარობდნენ წინათ ეკლები,**
**კარგი სოფელი ხალხმა გამართა**
**საბძელ-საწყობით, დიდი ბეღლებით;**
**სამჭედლებშიც ისმის გუგული...**
**სულ ნახევარიც კი საუკუნის**
**ჯერ არ გასულა, იქ უკვე დაბა**
**შეიქმნა დიდი! შეხედეთ, აბა —**
**შრომას, სილაღეს და ადამიანს**
**რა ძალუძთ, რაგვარ საქმეებს ქმნიან!**

ნახეთ, რა კარგად თქვა ნეკრასოვმა ადამიანზე, რა შეუძლია ამ ადამიანს, თუ მას მისცემენ თავისუფლებას და მიწას! **(მჭუხარე ტაში).** მაგრამ მაშინ ჩვენი მასშტაბები როდი იყო. რას იტყოდა ნეკრასოვი ახლა, მას რომ ჩვენს დროში ეცხოვრა, როცა შეიტყობდა, რომ სამ-ოთხ წელიწადში საბჭოთა ადამიანებმა გატეხეს 36 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწა! **(ტაში).** თუ იგი სასწაული იყო, მაშინ საბჭოთა ადამიანების საქმეებზე ცოტაა ითქვას ზესასწაული.

აი როგორ ეპოქაში ვცხოვრობთ ჩვენ. ამხანაგებო! მაგრამ ჩვენ თაყვანს ვცემთ ნეკრასოვის გენიას, რომელმაც შეძლო ასეთ, ჩვენი მასშტაბების მიხედვით მცირე გამოვლინებებში, დაენახა და ჩეეფასებინა, რომ „შრომას, სილაღეს და ადამიანს რა ძალუძთ, რაგვარ საქმეებს ქმნიან". ჩვენს დროში ვლინდება დიადი შემოქმედებითი ძალები ხალხისა, რომელმაც თავისი სამშობლო მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნა. ჩვენს მოწინააღმდეგეს ახლა უკვე ესმის ეს, ხედავს ამას.

გიამბობთ ასეთ ფაქტს. ამას წინათ ერთ დარბაზობაზე ვესაუბრე ზოგიერთი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს. ახლა ყველაზე საჭირბოროტო საკითხია საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის საკითხი. დასავლეთ გერმანიის ელჩი შემეკითხა:

— როგორ გადაწყდება საკითხი ჟენევაში?

— ეს უკვე თქვენ მითხარით. თქვენ თქვენი მთავრობის ელჩი ხა, თქვით, რას ფიქრობს იგი. მაგრამ რასაც უნდა ფიქრობდეთ, მე შემიძლია ვთქვა ერთი რამ, საჭიროა ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას ორ გერმანიასთან.

— ეს შეუძლებელია.

— არა, ეს შესაძლებელია. თუ დღეს თქვენთვის შეუძლებელია, ჩვენ ხელს მოვაწერთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და დაველოდებით იმ დროს, როცა თქვენ გვეტყვით, შესაძლებელიაო, და თქვენც მოაწერთ ხელს საზავო ხელშეკრულებას. **(ტაში).**

ელჩმა მითხრა, არა, ეს არ იქნებაო. მე მას ვუპასუხე, ნუ ჩქარობთ, ნუ ამბობთ „არას", დაიცადეთ.

მაშინ კიდევ ერთი ელჩი შემოუერთდა ჩვენს საუბარს. ელჩი, რომელზეც მე ვლაპარაკობ, ოდესღაც ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში, მას და მის მამას ჰქონდათ ფაბრიკა მოსკოვში, მაგრამ შემდეგ წავიდნენ აქედან, და ახლა იგი ერთ-ერთი ქვეყნის ელჩია, მშვენივრად ლაპარაკობს რუსულად და ამიტომ მე მასთან უთარჯიმანოდ ვლაპარაკობდი. სწორედ ეს ელჩი მიმართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს და ეუბნება:

— იცით, ბატონო ელჩო, მე არ გირჩევთ ნაჩქარევად წარმოთქვათ სიტყვა „არა". 30 წლის წინათ მე ვთქვი, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ იარსებებდა, და, როგორც ხედავთ, შევცდი. **(ტაში).**

ეს იმას მოწმობს, რომ ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ და დარჩნენ, — იმათაც კი ახლა თვალი აეხილათ და უკვე უსწორებენ თავიანთ კოლეგებს: ნუ ჩქარობ, ნაჩქარევად ნუ ამბობ „არასო".

ჩვენ კი, ამხანაგებო, კომუნისტები ვართ. თქვენ შეიძლება თქვათ: ყველანი როდი ვართ კომუნისტებიო. ამაზე შემიძლია გიპასუხოთ, რომ, როცა ჩვენში გამოდიან ორატორები — მწერლები, მუშები, მოსამსახურეები, სიტყვის მიხედვით შეუძლებელია იმის თქმა, კომუნისტია თუ არაკომუნისტი ორატორი, და ეს რომ გამოვარკვიოთ, უნდა შეეკითხოთ თვით ორატორს. ნუთუ ეს არ არის იმის ცოცხალი დემონსტრაცია, რომ ჩვენი პარტიის ფიქრები შერწყმულია ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ხალხთა ფიქრებთან. **(მჭუხარე ტაში).** ეს არის ყველაზე დიდი ჯილდო ჩვენი პარტიისათვის, ეს არის ლენინური მოძღვრების დიადი ტრიუმფი. ჩვენი პარტიის მოძღვრება, ჩვენი პარტიის პროგრამა აღარ წარმოადგენს მხოლოდ მეცნიერულ დოკუმენტს, არამედ თვით ცხოვრების დოკუმენტი, ჩვენი დიდი ხალხის შეხედულებები, გაგება, მოქმედების პროგრამა გახდა. **(მჭუხარე ტაში).**

ეს ჯილდოა აგრეთვე იმიტომ, რომ ამჟამად, ისე როგორც არასოდეს, მაღალია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი, მაღალია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ავტორიტეტი. ხოლო ჩვენი მთავრობის პოლიტიკა გამომდინარეობს ჩვენი კომუნისტური პარტიის პოლიტიკიდან და მოძღვრებიდან. ეს, მაშასადამე, იმის აღიარებაა, რომ კომუნისტური პარტიის მოძღვრება ყოვლისმძლე მოძღვრებაა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი სახელმწიფო ჩვენი საქმეებით.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოვიყვანო კიდევ ერთი ლექსი. მე მომწონს ივანე საბას-ძე ნიკიტინის სიტყვები სამშობლოს შესახებ:

**აწ ვიცი კარგად,**
**მძლავრო რუსეთო,**
**თუ რად მიყვარხარ —**
**დედას გიწოდებ.**
**წმიდად დავიცავ**
**მტრის წინ შენს სახელს**
**და თავსაც დავდებ**
**შენთვის, იცოდე!**

ეს შესანიშნავი სიტყვებია. პოეტი თავის დროში ამბობდა: რუსეთს შეიძლება დედა ვუწოდოთო, ხოლო ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი მაშინ ყველასათვის როდი იყო დედა, ბევრისთვის იგი დედინაცვალიც იყო. მე ვლაპარაკობ ყოფილი რუსეთის მოსახლეობის არა მარტო ეროვნულ, არამედ აგრეთვე კლასობრივ შემადგენლობაზე. და მაინც პოეტმა მას დედა უწოდა. მაშ რა შეიძლება ითქვას ჩვენს დიდ საბჭოთა კავშირზე, რომელიც ნამდვილად გახდა ყველა ხალხის დედა, და ჩვენს ქვეყანაში ხალხები ყველანი ძმები გახდნენ. **(მჭუხარე ტაში).**

ყოველივე ამას კი, ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ ლენინს, ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა წყობილებას, უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ხალხების თავდადებულ შრომას.

დავიცვათ სოციალიზმის ყველა მონაპოვარი, გავამრავლოთ ისინი და გავწიოთ წინ სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. **(მჭუხარე ტაში).**

ახალ დროს და ახლებურად კარგად არის ნათქვამი საბჭოთა ხალხზე ალექსანდრე ტვარდოვსკის ლექსში „თითქმის ნახევარი საუკუნე...". იგი გამოქვეყნდა გასული წლის დეკემბერში „პრავდაში". აღარ წავიკითხავ მას, რადგან ყველას წაკითხული გაქვთ და გახსოვთ. ეს ლექსი გამოხატავს თვითეული იმ ად

## ᲞᲔᲠᲣᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ Გ. Ს. ᲯᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔᲡ

პერუს კონგრესის წევრთა დელეგაციამ, რომელიც თბილისში იმყოფება, 25 მაისს ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ს. ძოწენიძეს.

ვიზიტზე იყვნენ პერუს პარლამენტარიები ედუარდო ვალიეხოს მონტენეგრო, ვილსონ სოლოგურენი, ერნესტო მორე ბარიონუევო, კარლოს ბისო ლორედო, რიკარდო ალკალდე მონგრუტი, აბუნდიო არაუსო იაური, ხორხე არევალო დელგაიდო, ლუის კორონადო ვიხილი, ვიქტორ ს. გევარა ველასკო, ხასინტო კასერეს პილარესი, კარლოს გარსია-ი-გარსია, კარლოს მალპიკა, ფერნანდო მანრიკე ენრიკესი, ნილო მენესეს გალინდესი, ხაიმე რეი დე კასტრო რომანია, ხუან რ. ნორიეგა სალასარი, სესარ ორტეგა ფლორესი, რობერტო რამირეს დელ ვილარი, ოსვალდო ნ. რეგალ კარდენასი, ეფრაინ რუის კარო, ანტონიო როდრიგეს დელ ვალიე, აუგუსტო დურანი.

გ. ს. ძოწენიძესა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. სტუმრების თხოვნით ამხ. ძოწენიძემ გააცნო მათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარება, შვიდწლედში მისი შემდგომი აყვავების პერსპექტივები.

პერუს კონგრესის წევრებმა გ. ს. ძოწენიძეს მისცეს მრავალი შეკითხვა, რომლებიც შეეხება მრეწველობის მუშაობას, სასამართლოს წყობილებას, სპეციალისტთა ეროვნული კადრების მომზადებას.

დელეგაციის სახელით სტუმარმა თმოყვარეობისა და ყურადღებისათვის მადლობა გადაიხადა პერუს კონგრესის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ედუარდო ვალიეხოს მონტენეგრომ. მან თქვა:

— მოგზაურობამ შესაძლებლობა მოგვცა უკეთ გაგვეგო საბჭოთა ხალხის ცხოვრება, კერძოდ ქართველი ხალხის ცხოვრება, გავცნობოდით შუშაობას თქვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უმაღლესი იდეალია ბრძოლა მშვიდობისათვის. ჩვენც ამ მაღალი იდეალის მომხრენი ვართ. აღტაცებული ვართ თქვენი ღონისძიებებით მშვიდობისათვის ბრძოლაში და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრი ქ. ბ. ლომთათიძე, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ა. ჯაბუა, შ. ი. ჭანუყვაძე, ბ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. გ. ვეფხვაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. ვ. თაქთაქიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. ს. მჭედლიძე.

საუბრის დამსწრეთა შორის იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. პ. სკულკოვი, საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის დროს დელეგაციის თანმხლები პირები, რომლებიც პერუს კონგრესის წევრებთან ერთად ჩამოვიდნენ, ჟურნალისტები ფრანსისკო მორო კესადა — გაზეთ „ელ კომერსიოს“ მფლობელი და მთავარი რედაქტორი, ლუის ლოლი — გაზეთ „ულტიმა ორას“ თანამშრომელი, ხენარო კარნერო კესადა — ჟურნალ „1959“ რედაქტორი. (საქდესი).

## ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲞᲔᲠᲣᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

25 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ ი. ბ. სტალინის სახელობის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის საბანკეტო დარბაზში დარბაზობა გამართა რესპუბლიკის დედაქალაქში პერუს კონგრესის წევრთა დელეგაციის ყოფნის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ პერუს პარლამენტის წევრები ედუარდო ვალიეხოს მონტენეგრო, ვილსონ სოლოგურენი, ერნესტო მორე ბარიონუევო, კარლოს ბისო ლორედო, რიკარდო ალკალდე მონგრუტი, აბუნდიო არაუსო იაური, ხორხე არევალო დელგაიდო, ლუის კორონადო ვიხილი, ვიქტორ ს. გევარა ველასკო, ხასინტო კასერეს პილარესი, კარლოს გარსია-ი-გარსია, კარლოს მალპიკა, ფერნანდო მანრიკე ენრიკესი, ნილო მენესეს გალინდესი, ხაიმე რეი დე კასტრო რომანია, ხუან რ. ნორიეგა სალასარი, სესარ ორტეგა ფლორესი, რობერტო რამირეს დელ ვილარი, ოსვალდო ნ. რეგალ კარდენასი, ეფრაინ რუის კარო, ანტონიო როდრიგეს დელ ვალიე, აუგუსტო დურანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე რ. რ. დვალი, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ა. ჯაბუა, შ. ი. ჭანუყვაძე, ბ. ა. ჩხეიძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრი ქ. ბ. ლომთათიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ს. მ. ბუაჩიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ვ. მ. ჭაბუკიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მ. გ. ვეფხვაძე, დ. ს. მჭედლიძე, მ. ე. თოფურიძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ა. ქოჩორაძე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. პ. სკულკოვი, რომელიც დელეგაციას ახლავს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს, აგრეთვე პერუს ჟურნალისტები ფრანსისკო მორო კესადა, ლუის ლოლი, ხენარო კარნერო კესადა.

დარბაზობის დროს წარმოითქვა გულთბილი მეგობრული სადღეგრძელოები, რომლებშიც გამარჯვება უსურვეს დიდი საბჭოთა კავშირის აყვავებას, სსრ კავშირისა და პერუს ხალხთა მეგობრობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

დარბაზობამ დიდი გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. დარბაზობის დროს გაიმართა თბილისის ხელოვნების ოსტატთა გამოსვლები. (საქდესი).

## ᲞᲔᲠᲣᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

პერუს კონგრესის წევრები ეცნობიან რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას, ქართველი ხალხის ცხოვრებას. 24 მაისს დილით ისინი გაემგზავრნენ რუსთავში. აქ პერუს პარლამენტარიები იყვნენ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში. საწარმოს ხელმძღვანელებთან, მუშებთან, ინჟინრებთან საუბარში მათ აინტერესებდათ წარმოების ტექნოლოგია, გამოშვებული პროდუქცია, შრომის პირობები.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ახალშენებანი, იყვნენ მეტალურგთა სასახლეში.

პერუს ხალხის წარმომადგენლები იყვნენ მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყაზახის რაიონში, იქ დაათვალიერეს სოფელ შახლის ბამბის პლანტაციები, კოლმეურნეობის გამგეობამ სადილი გამართა მათ პატივსაცემად.

ამავე დღეს საღამოს სტუმრები მიწვეული იყვნენ ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის, საქართველოს კაპელის, შ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და საქართველოს ფილარმონიის სოლისტთა კონცერტზე, რომელიც რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

25 მაისს სტუმრები გაემგზავრნენ დიღომში, სადაც გაეცნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მუშაობას. შემდეგ ისინი იყვნენ მცხეთაში. ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციის წევრებზე. დელეგაცია იყო აგრეთვე შამპანური ღვინოების ქარხანაში.

პერუს კონგრესის წევრებთან ერთად ჩამოსული ჟურნალისტები გაემგზავრნენ გორში, სადაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი. (საქდესი).

## ᲡᲐᲝᲙᲔᲐᲜᲝ ᲢᲐᲜᲙᲔᲠᲘ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“

ხერსონის გემთსამშენებლო ქარხანაში საზეიმო ვითარებაში წყალში ჩაუშვეს თექვსმეტი ათასი ტონა წყალწყვის საოკეანო ტანკერი. ახალ გემს უკრაინელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის ნიშნად „თბილისი“ ეწოდა.

ტანკერის წყალში ჩაშვებაზე ჩავიდნენ დელეგაციები თბილისის და ბათუმის მშრომელებისა, რომლებსაც ხერსონელები ეჯიბრებიან. გემთმშენებლებმა პირობა დადეს ვადამდე დაამთავრონ ტანკერის გამოცდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ტანკერი „თბილისი“ წყალში ჩაშვების წინ.

ფოტო ი. ლიხუტასი. (საკდესი).

# ᲡᲠᲣᲚᲘᲤᲐᲦᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

## ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

24 მაისი ჩინეთისა და საქართველოს კალათბურთელთა გუნდების შეხვედრათა მეორე დღე იყო.

ამ დღეს კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდები. ბრძოლა თავიდანვე საინტერესო და მიმზიდველი იყო. თბილისელთა უპირატესობა პირველ ტაიმშიც იგრძნობოდა, მაგრამ იგი უფრო აშკარა გახდა შეჯიბრების მეორე ნახევარში. ჩინელმა სპორტსმენებმა დამარცხება განიცადეს 41:61.

უფრო საინტერესო გამოდგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდების მატჩი. პირველ დღეს ჩინელებმა დაამარცხეს თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ დინამოელები აქედან სათანადო დასკვნას გაიკეთებდნენ, მაგრამ თამაშის მსელელობამ სულ სხვა გვიჩვენა.

მართალია, ანგარიში თბილისელებმა გახსნეს, მაგრამ ეს უპირატესობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე სტუმრებმა ჯერ საჯარიმო სროლით, ხოლო შემდეგ შორიდან ზუსტი ტყორცნით თვითონ წაიყვანეს თამაში. მე-4 წუთისათვის ანგარიში იყო 7:2, მე-6 წუთზე — 11:6. ჩინელთა სასარგებლოდ. თანდათანობით აჭარა გახდა სტუმართა უპირატესობა, ისინი გამოირჩეოდნენ ფარქვეშ ბრძოლით, იერიშებით ფლანგებიდან და ცენტრიდან გადაცემებით, ტემპით, კალათში ბურთის ზუსტი სროლით. დინამოელებმა პირველ 20 წუთში მხოლოდ სამჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და ორჯერ თითო ქულით იყვნენ წინ. ტაიმი დამთავრდა სტუმართა სასარგებლოდ 36:34.

შეჯიბრების მეორე ნახევრის მე-6 წუთზე ანგარიში გახდა 45:45, მე-7 წუთზე — 46:46, ხოლო მე-16 წუთზე 68:68, მაგრამ დინამოელებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს, განსაკუთრებით სუსტად ჩაატარეს ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი და წაგეს მატჩი ანგარიშით 71:79.

ამრიგად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ორგზის ჩემპიონია, თბილისში გამართული ორი შეხვედრიდან ორივე მოიგო.

დღეს გაიმართება ჩინეთისა და საქართველოს კალათბურთელთა უკანასკნელი მატჩები.

## ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲦᲐᲠᲯᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘ. 24 მაისი. (საკდესის სპეც. კორ). ციურიხის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეოთხე ტურში საბჭოთა დიდოსტატებმა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. დიდოსტატმა კერესმა მოუგო დიდოსტატ გლიგორიჩს (იუგოსლავია).

მწვავე შეხვედრაში დიდოსტატმა უნციკერმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ვერ გაათანაბრა შანსი პარტიაში საბჭოთა დიდოსტატ ტალთან, რომელმაც მოიგო პაიკი და ზუსტად გაანაღდა თავისი მატერიალური უპირატესობა.

ძალიან ენერგიულად თამაშობს მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები). მან პარტიაში კუპერთან (შვეიცარია) გამარჯვება მოიპოვა მოწინააღმდეგის მეფეზე პირდაპირი იერიშით. დაწარჩენი შეხვედრებიდან ნიეერგლტმა (შვეიცარია) წააგო დონერთან (ჰოლანდია) და კელერმა — ბარცასთან (უნგრეთი). ლარსენ-ბენდის (შვეიცარია), ვალტერ-დიუმშტაინისა და ოლაფსონ-ბლაუს პარტიები გადაიდო.

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲝ. 25 მაისი. თბილისის დინამოელები დღეს აქ შეხვდნენ ადგილობრივ „შახტიორს“. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 1:0.

## ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲘᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

29-30 მაისს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 42) საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი აწყობს მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაკთა რესპუბლიკურ შემოქმედებით სემინარს.

დასაწყისი 13 საათზე.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი

რედაქტორი
დ. მᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

## ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ

საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ დელეგაციამ, რომელიც ამას წინათ სტუმრად იყო საქართველოში, თან ჩამოიტანა ფოტოკლუბ „პესკარის“ იტალიელი ოსტატების მხატვრული ფოტოგრაფიული სურათების გამოფენა.

26 მაისს ეს გამოფენა გაიხსნება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში. აქ წარმოდგენილი იქნება 12 იტალიელი ოსტატის — ფოტოგრაფის 58 ნამუშევარი, აგრეთვე შენარჩევი — „იტალიაში“, რომელიც შედგება საბჭოთა ფოტოკორესპონდენტ ვ. შაბოვსკის 44 ფოტოგრაფიული სურათისაგან. (საქდესი).

## ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲬᲕᲔᲓᲔᲑᲐ ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 24 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ალეირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის შტაბის კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 17-დან 21 მაისამდე ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა მოაწყეს 15 შეტევითი ოპერაცია საფრანგეთის ჯარების პოზიციებზე ლატრუას, ბენი-ომრანის, ელ-სალუსანის, კენხათის, მაიოს, მოტორვილისა და ლამარტინის რაიონებში.

ალეირელ პარტიზანთა რაზმები თავს დაესხნენ საფრანგეთის სამხედრო და სპპოლიციო საგუშაგოებს 24 სოფელში და რამდენჯერმე ჩაუსაფრდნენ მოწინააღმდეგის ალაღებს. პარტიზანებმა მთელ რიგ ადგილებში ააფეთქეს რკინიგზის ვაკანი.

საფრანგეთის ჯარებს ამ ოპერაციების შედეგად მოუკლეს 139 და დაუჭრეს 79 კაცი. პარტიზანებმა ხელი იგდეს იარაღის ერთგვარი რაოდენობა.

## ᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

### ᲛᲝᲜᲢᲒᲝᲛᲔᲠᲘ ᲛᲝᲣᲬᲕᲝᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲗᲐᲜᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝᲛᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 23 მაისი. (საკდესი). გუშინ გადამდგარმა ფელდმარშალმა მონტგომერიმ ოქსფორდის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია, რომელშიც შეეხო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის პრობლემებს. ამ ლექციაში მონტგომერის არ დაუშალავს თავისი ანტიპათია კომუნიზმისადმი. მაგრამ ამასთან ერთად იგი მოუწოდებდა დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს „არ დახურონ კარი საბჭოთა კავშირთან შვიდობიანი თანაარსებობის ყოველი შესაძლებლობის წინ“.

„ჩემი აზრით, — განაცხადა მონტგომერიმ, — უნდა გამოვიჩინოთ ახალი მიდგომა და დიდი მოქნილობა იმ პირობების ძებნაში, რომლებშიც რუსეთსა და დასავლეთს შეეძლოთ შვიდობიანი თანაარსებობა“. ამისათვის, მონტგომერის აზრით, საჭიროა აღიარებულ იქნას, კერძოდ, შემდეგი გარემოებანი, რომლებიც მას მიაჩნია „უმნიშვნელოვანეს რეალურ ფაქტორებად“: აღმოსავლეთს, რომელსაც რუსეთი ხელმძღვანელობს, არა აქვს განზრახვა გაიჩინოს ატომგულის იმი დასავლეთის წინააღმდეგ; ლოგიკური არ არის რუსეთისაგან მოველოდეთ თანხმობას ისეთი გაერთიანებული გერმანიის შექმნაზე, რომელიც იქნება შეიარაღებული ატომგულის იარაღით და შევა „დასავლეთის კავშირში“; ლოგიკური არ არის ვეფყარებოდეთ წანამძღვარს, რომლის თანახმად აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობა თითქოს არ არსებობდეს; ბოლოს, ლოგიკური არ არის ვფიქრობდეთ, რომ ჩინეთის ნამდვილი მთავრობა ტაივანზეა.

ამტკიცებდა რა, რომ არც დასავლეთს სურს ომი აღმოსავლეთის წინააღმდეგ, მონტგომერიმ დასავლეთის მთავრობებს მოუწოდა განაზორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდეს უწინარეს ყოვლისა ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას. „ამ პრობლემაზე, — თქვა მან, — საჭიროა დაიწყოს მოლაპარაკება ნატოსა და რუსეთს შორის, ამასთან ბევრი რამ ამ მოლაპარაკებაში დამოკიდებული იქნება ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებასა და აღიარებაზე.“

დასავლეთმა, განაგრძობდა მონტგომერი, უნდა განაზორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება ჩინეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. „იმისათვის, რომ მივაღწიოთ წარმატებას არსებულ მდგომარეობაში, თქვა მონტგომერიმ,—თავისუფალი სამყაროს (მონტგომერი ასე უწოდებს დასავლეთის სახელმწიფოებს. — რედ.) ხელმძღვანელობა უნდა ერიდოს იმას, რასაც უწოდებენ „პოლიტიკას ომის ზღვარზე“.

ამის ნაცვლად საჭიროა სიმშვიდის ცენტრი გადატანილ იქნას მოლაპარაკების წარმოების სურვილზე. ეს სურვილი პირველ რიგში თავს უნდა იჩენდეს მისწრაფებაში გულწრფელად შევისწავლოთ ყველა წინადადება, რომელთა მიზანია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელება“.

დასავლეთი, განაცხადა მონტგომერიმ, უნდა ხელმძღვანელობდეს პრინციპით „იცხოვრე და ცხოვრების საშუალება მეეცი სხვებს“.

## ᲘᲚᲚᲘᲜᲓᲘᲐᲛ ᲣᲐᲠᲧᲝ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ

ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘ, 25 მაისი. (საკდესი). მიმდინარე წლის ივნისს დამდგს ლონდონში განზრახულია მოწვიონ ნატოს მონაწილე ქვეყნების კონგრესი ამ ბლოკის სამხედრო ბლოკის 10 წლისთავის გამო. ისლანდიასაც სთხოვეს — გაეგზავნა დელეგაცია ამ ეგრეთწოდებულ „ატლანტიკის კონგრესზე“. მაგრამ ამასთან დაკავშირებთან შექმნილმა სპეციალურმა კომიტეტმა, რომელშიც შევიდნენ ისლანდიის სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლნი, მიიღო გადაწყვეტილება უარყოს ეს მოწვევა.

კომიტეტმა ნატოს მომავალი კონგრესის თავმჯდომარის ფენსის სახელზე გაგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ კომიტეტს ისლანდიისათვის შეუძლებელად მიაჩნია ასეთ კონგრესში მონაწილეობა „მაშინ, როცა ინგლისი კვლავ იყენებს თავის სამხედრო-საზღვაო ძალებს ისლანდიის თევზჭერის ზონის დასარღვევად, რათა დაიცვას უკანონო თევზჭერა ჩვენი ქვეყნის ნაპირებთან, რითაც ხელყოფს ღონისძიებებს, რომლებსაც ისლანდიელი ხალხი ახორციელებს თავისი არსებობის უზრუნველსაყოფად“.

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲣᲛᲬᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 25 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიიდან კვლავ მოდის ცნობები ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა უმსგავსობის შესახებ. ადნის საადგილო იუწყება, რომ ამას წინათ ამერიკის არმიის ოთხი სამხედრო მოსამსახურე ჰომბურგში (საარის ოლქი) თავს დაესხა 82 წლის გერმანელ პენსიონერს, წააქცია და წაართვა ფული. დაზარალებულს ტვინი შეეყარა და საავადმყოფოში გაგზავნეს. ამერიკელი ჯარისკაცები ამავე ქალაქში გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ გერმანელს და მძიმე ჭრილობები მიაყენეს.

ქალაქ ზულცტალის (ბავარია) ახლოს რამდენიმე ამერიკელი ჯარისკაცი დაეცხა თავს 19 წლის ქალიშვილს და გააუპატიურა.

## ᲩᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲣᲘᲜᲓᲣᲜ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 23 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ელ სალგოს“ ცნობით, ამ დღეებში სანტ-იაგოში გაიმართა ჩილის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ჩილის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა.

მოხსენება გააკეთა გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა. პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შედეგებს. კორვალანის მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგნლიანი გეგმის თვალსაჩინო მნიშვნელობა, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მომხსენებელმა მკვეთრად დაგმო სამხედრო პაქტები და ომისათვის მზადება, რასაც შეერთებული შტატები ახორციელებენ.

მოხსენებაში მოცემულია ლათინურ ამერიკაში საერთოდ და ჩილეში, კერძოდ, არსებული მდგომარეობის დაწვრილებითი ანალიზი.

კომპარტიის გენერალურმა მდივანმა რწმენა გამოთქვა, რომ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან ლათინური ამერიკის ქვეყნების განთავისუფლება გარდუვალია.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს კორვალანის მოხსენება და მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერება.

## ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲐ Ჯ. Ფ. ᲓᲐᲚᲔᲡᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 მაისი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო საგეტლეტი იუწყებოდა, დღეს 71 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი. დალესი ავად იყო კიბოთი, რომელიც უკანასკნელ დღეებში ფილტვების ანთებით გართულდა.

## ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲭᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ

ᲑᲐᲒᲓᲐᲓᲘ, 24 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა უმაღლესი სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი ერაყის არმიის 11 ყოფილი ოფიცრის საქმის გამო, რომელნიც მონაწილეობდნენ მოსულის მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხებაში. ექვს კაცს მიესაჯა სიკვდილი. მათ შორის არიან პოდპოლკოვნიკი ისმაილ ხერმეზი, პოდპოლკოვნიკი ქამილ ტახა ად-დებენი, მაიორი ნაჯიბ ჰამიდ შალაბი, კაპიტანი ზაქარია ტახა, კაპიტანი სიდიკ ისმაილი და კაპიტანი ნაზიმ ხასან ალი. დანარჩენ ხუთ ბრალდებულს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა.

## ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲒᲚᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

25 მაისს შესრულდა კამერუნის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის კამერუნელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის დაწყების მეოთხე წლისთავი. ოთხი წლის ბრძოლის განმავლობაში საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ სიკვდილით დახაჯეს კამერუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 10 ათასი მონაწილე, ხოლო დაპატიმრებულთა რიცხვმა 50 ათას კაცს გადაამეტა!

ორმოცი წლის წინათ ყოფილი გერმანული კოლონია კამერუნი პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შედეგად ინგლისმა და საფრანგეთმა გაიყვეს. ამასთან ხალხთა დასახლების ეთნიკური საზღვრები სრულებით არ ყოფილა მიღებული მხედველობაში. იმპერიალისტებმა თვითნებურად გაჰყარეს ხალხები, ტომები, სოფლები და ოჯახებიც კი. კოლონიზატორებმა კამერუნი ორ ნაწილად გათიშეს და თავს მოახვიეს მას კოლონიური რეჟიმი, უხეშად გათელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები: „ხელი შეეწყოს მეურვეობაში მყოფი ტერიტორიის მოსახლეობის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს... თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, მუხლი 76). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობაში მყოფი კამერუნის ორივე ნაწილში გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ მოძრაობამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო და გაერთიანა ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალები: მუშები, გლეხები, ბურჟუაზია, ინტელიგენცია, ქალები და ახალგაზრდობა.

ბრიტანეთის კამერუნში 1946 წლიდან დაიწყო გლეხების ბრძოლა უცხოთის მონოპოლიების მიერ წართმეული მიწების დაბრუნებისათვის. მოძრაობა მარტო მშვიდობიანი მოთხოვნებით როდი განისაზღვრებოდა, არამედ შეიარაღებული ბრძოლის ფორმებს იღებდა. 1956 წელს მოხდა გლეხთა მნიშვნელოვანი შეიარა